# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 18 ივლისი 2001 №133 (1406) | ფასი 50 თეთრი


# ლინფილდმა სადილი იგმაროს, ტორპედომ მოგება შეუკვეთა



„ლინფილდის“ მწვრთნელი დევიდ ჯეფრი

**დღეს ევროპის ათი ქვეყნის ათ ქალაქში ამდენივე წყვილი ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებს გამართავს და უძლიერესნი მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ. ამათში ერთი საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედოა“, რომელიც ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს“ მასპინძლობს და ბელფასტური 0:0-ის მერე პირველი სალიგო ბარიერის დაძლევის კარგი შანსი აქვს.**

იხილეთ მეორე გვერდი



გუშინ „ტორპედოზე“ ნამგზავრმა ბელფასტელებმა მსუბუქად ივარჯიშეს

## ქართველების ბედი სხვების ხელშია

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. IV ტური. 17 ივლისი

**ლიტვა 67**
**საქართველო 65**

გუშინ ლატვიაში საქართველოს ნაკრებმა ფინალური ეტაპის მეოთხე მატჩი ლიტველებთან ჩინებულად დაიწყო. პირველი ნახევარი ჩვენებმა 10 ქულით მოიგეს, შემდეგ 13-თაც დაწინაურდნენ, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. ბოლო წუთზე ქართველები ქულას იგებდნენ და ბურთსაც ფლობდნენ, მაგრამ შეტევა ზუსტი სროლით ვერ დაასრულეს. ლიტველებმა კი სამქულიანი ჩააგდეს. ჩვენებს მატჩის გადასარჩენად 10 წამი რჩებოდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ — 65:67. ეს ჩვენი ნაკრების მესამე მარცხია.

მომდევნო ეტაპზე, მეოთხედფინალში ჯგუფის ოთხი საუკეთესო გადის. ქართველების იქ მოხვედრა მათზე აღარაა დამოკიდებული. ესპანელებთან დღევანდელ მატჩს აზრი დაეკარგა. მისი შედეგის მიუხედავად ჩვენები მეოთხედფინალში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდებიან, თუკი დღესვე იტალიელები თურქებს დაამარცხებენ, რაც, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია.

**იუგოსლავია 74:59 თურქეთი**

**ესპანეთი 77:66 იტალია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 4 | 4 | 0 | 331:253 | 8 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 323:319 | 7 |
| ლიტვა | 4 | 3 | 1 | 301:279 | 7 |
| თურქეთი | 4 | 1 | 3 | 292:317 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 3 | 320:328 | 5 |
| იტალია | 4 | 0 | 4 | 154:335 | 4 |



ვლადიმერ სტეფანია

## სტეფანიას ცალი ფეხით თამაში მობეზრდა და ცალი თვალით ევროპისკენ იყურება

*ბოლო ათწლეულის ყველაზე წარმატებული ქართველი კალათბურთელი, ვლადიმერ სტეფანია კვლავაც უგუნდოდაა და სასურველი კლუბის ძიებაშია. დღეს, 18 ივლისს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისუფალ აგენტთა ბაზარი იხსნება და ვინ იცის, იქნებ ჩვენებურმაც სარფიან კონტრაქტს გამოჰკრას ხელი. სადღეისოდ კი გაურკვევლობაშია ვოვა, მუხლის ტრავმის შემდეგ მან ეს-ესაა განაახლა ვარჯიში. გაჭიანურებულმა მკურნალობამ ქართველს ტრადიციულ საზაფხულო შეკრებებში მონაწილეობის საშუალებაც არ მისცა, მაგრამ კალათბურთელი უიმედოდ სულაც არ გახლავთ, ჩემს ადგილს ყოველთვის მოვძებნიო, ამბობს.*

ინტერვიუ ვლადიმერ სტეფანიასთან იხილეთ მეათე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა თასი 2001-02. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ტორპედო — ლინფილდი

პირველი მატჩი 0:0

ქუთაისი. „ტორპედო". ტევადობა 20 000. 18 ივლისი. 21 საათი

# მოვიგოთ და სულერთია...

**ერთი** კვირის წინ ბელფასტში 0:0 დამთავრებული მატჩის შემდეგ ტორპედოელებმა დღეს უნდა მოიგონ, ნებისმიერი ანგარიშით, არა აქვს მნიშვნელობა ძირითად (უფრო სასურველი ვარიანტი კია) თუ დამატებით დროში, ანაც პენალტების სერიაში, ოღონდ მოიგონ და ლიგის მორიგ საკვალიფიკაციო ეტაპზე ისინი ითამაშებენ.

„ლინფილდს" კი მასპინძლებთან გამარჯვების გარდა გოლებიანი ფრეც აძლევს ხელს, ეს ფაქტი კი არცთუ უმნიშვნელოა, მაგრამ... ბელფასტური მატჩის თვითმხილველთა აზრით, „ტორპედოს" ჩრდილოეთ ირლანდიის 44-გზის ჩემპიონთან მეტი ფხა რომ გამოეჩინა, იქვე სტუმრად მოილევდა საქმეს. ტორპედოელებს აშკარად შეეძლოთ მასპინძელთა დამარცხება, თუმც ფრე იკმარეს და საპასუხო შეხვედრის იმედად დარჩნენ.

ჩრდილოირლანდიელები გუშინ გვესტუმრნენ 25-კაციანი დელეგაციით. ისინი გამთენიისას ჩამოვიდნენ თბილისში, დედაქალაქიდან ქუთაისამდე „ტორპედოს" კუთვნილი ავტობუსით იმგზავრეს და თორმეტის ნახევრისთვის „ტორპედოსვე" ბაზაზე დაბინავდნენ — ქუთაისელებმა საკუთარი კერა დროებით, ორი დღით, დაუთმეს სტუმრებს, თავად კი წყალტუბოში, თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში გადაინაცვლეს. ლამის ათ საათს ნამგზავრმა ბელფასტელებმა დაბინავებისთანავე გემრიელად ისადილეს, სხვათა შორის, მათ მიერვე შეკვეთილი კერძებით. მერე, კარგად დანაყრებულნი, ძილს მიეცნენ...

„ლინფილდის" ვარჯიში „ტორპედოზე" საღამოს რვა საათისთვის იყო დანიშნული და სტუმრებმაც დათქმულ დროს წუთიც არ გადააცილეს, სტადიონზე სრული შემადგენლობით გამოცხადდნენ. როგორც ვთქვით, მათი დელეგაცია 25-კაციანი გახლავთ, ამათგან ორი ჟურნალისტის გარდა, ყველა კლუბის წევრია. ჰოდა, ვიდრე „ლინფილდის" ზორბა, როხროხა თავკაცი დევიდ ჯეფრი შეგირდებს ავარჯიშებდა, მოედნის კიდესთან ერთ-ერთ ჩვენ კოლეგას, ბელფასტური „NEWS LETTER"-ის რეპორტიორს ალექს მილსს გამოველაპარაკეთ და ბევრი საინტერესოც შევიტყვეთ. ჩრდილოირლანდიელი არ დაგვზარდა და ქუთაისში ჩამოსული 16 ფეხბურთელის ვინაობა გაგვაცნო. აი ისინიც: *მეკარეები — რობერტ რობინსონი, ალან მანუსი; მცველები — სტეფან კოლიე, ნოელ ბეილი (კაპიტანი), ჰეტ მაკშეინი, უილიამ მერფი, მარკ პიკინგი, ნორმან კელი; ნახევარმცველები — ტონი გორმანი, რასელ კელი,*



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

გლენ ფერგიუსონი

*გევინ ართური, ჯეიმი მარკსი, დარენ მერფი, გარეტ სკიტსი; თავდამსხმელები — გლენ ფერგიუსონი, დეივ ლარმური.*

„ლინფილდმა" მხოლოდ ერთი მოთამაშე, წინახაზელი ჯასტინ მაკბრაიდი მოისაკლისა, რომელიც „ტორპედოსთან" პირველი მატჩის საწყის წუთებში დაშავდა და ტრავმა ვერ მოიშუშა.

ჩვენი კოლეგა „ლინფილდის" დიდი გულშემატკივარია და გვიქო და გვიქო მეტოქე, გამორჩევით მისი ორი მოთამაშე — ფერგიუსონი და ლარმური. ფერგიუსონი წინა სეზონში ჩრდილოირლანდიური ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, მას ეროვნულ გუნდშიც ხშირად იწვევენ, ამას წინათ, ბულგარელების და ჩეხების წინააღმდეგ ითამაშა. ლარმურიც ნაკრების წევრად ითვლება, ოღონდ ძირითადში ვერ ხვდება, მას „ლივერპულის" ახალგაზრდულ გუნდში აქვს ნათამაშევი. სკიტსიც შეაქო, ახალგაზრდულ ნაკრებში წამყვანიაო. ისიც გვითხრა, ბელფასტში კარგი თამაში იყო, „ლინფილდმა" ორი საგოლე მომენტი გააცუდა, თქვენებს კი ერთხელ ჰქონდათ გატანის შანსი, საერთო ჯამში „ტორპედომ" კარგი შთაბეჭდილება დატოვაო.

„ლინფილდის" მელოტი დამრიგებელი ხმამაღალი შეძახილებით კი იძლეოდა მითითებებს, მაგრამ შეგირდები დიდად არ დაუტვირთავს. მოთელვის მერე ფეხბურთელებს დაბალ ტემპში „კვადრატი" გააჩალებინა, კარში არტყმევინა და ამასობაში სავარჯიშოდ გამოყოფილი 45 წუთიც გაილია და... „ლინფილდის" მთავარმა მწვრთნელმა საინტერვიუოდ ხუთი წუთიღა დაგვითმო. **დევიდ ჯეფრი** შეკითხვებზე მოკლედ გვპასუხობდა.

**— თქვენი აზრი პირველ მატჩზე?**

— „ტორპედო" ბელფასტში ორგანიზებულად, ტაქტიკურად გამართულად გვეთამაშა. მძიმე ბრძოლა გადაგვხდა. კარგი იყო, ერთი ბურთი მაინც გაგვეტანა. ვერ მოვახერხეთ, მაგრამ არაუშავს.

**— პირველ თამაშში ქუთაისელთაგან ვის გამოარჩევდით?**

— ვერ გეტყვით, საიდუმლოა.

**— ორი წლის წინ თქვენი „ლინფილდი" თბილისის „ლოკომოტივმა" გამოთიშა უეფას თასის გათამაშებიდან. როგორ ფიქრობთ, მაშინდელი მეტოქე უფრო ძლიერი იყო თუ „ტორპედო"?**

— ჩემი აზრით, „ტორპედო".

**— აქაურობა როგორ მოგწონთ?**

— ყველაფერი ნორმალურადაა. კარგად მიგვიღეს, გულთბილად გვმასპინძლობენ. თბილისშიც ასე იყო. ქართველები ძალიან მეგობრული, სტუმართმოყვარე ხალხი ხართ, ამას ყოველთვის აღვნიშნავ.

**— პროგნოზი?**

— გარწმუნებთ, „ლინფილდი" უბრძოლველად არაფერს დათმობს. შანსი ჩვენც გვაქვს და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ. ყველაფერს თამაში გვიჩვენებს.

„ლინფილდი" მოედანზე წყალტუბოდან ჩამოსულმა „ტორპედომ" შეცვალა. რევაზ ძოძუაშვილმა 9 საათზე გაიყვანა გუნდი სავარჯიშოდ. ტორპედოელები ბრიტანელებზე გაცილებით ენერგიულად ირჯებოდნენ, პროჟექტორების შუქზე ორკარაც გააჩაღეს. ძოძუაშვილის თქმით, გუნდი სრულ მზადყოფნაში ჰყავს, „ლინფილდთან" თამაშის შანსი ბევრს აქვს და თუ ვის ანდობს ძირითადში ადგილს, მატჩამდე ორი საათით ადრე გადაწყვეტს. ერთი რამ აწუხებდა გუშინ მწვრთნელს, ვალერი აბრამიძე მოიწამლა, სიცხიანი დავტოვეთ წყალტუბოში და, ალბათ, ვერ დაგვეხმარებაო. ძნელი თამაში გვექნება, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, მეტოქეს უნდა ვაჯობოთ — ასეთია ძოძუაშვილის და ტორპედოელთა საერთო აზრი.

„ტორპედო" — „ლინფილდის" მატჩს, რომლიც 21 საათზე დაიწყება, ჰოლანდიელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი ჯეკ ვან ჰუტენია, მას ბერენდ ტალენსი, არო ბრანკო და ერიკ ბრამარი (სათადარიგო) დაეხმარებიან. უეფას დელეგატი ავსტრიელი ჰაინც ფანლერი გახლავთ, ხოლო მსაჯებს ინსპექტორობას უნგრელი მილოშ ნაგია გაუწევს.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

ჩრდილოირლანდიელებს ვარჯიშით თავი არ მოუკლავთ



შოთა არველაძე ჰოლანდიასაც უნდა გასცდეს

# ინგლისმა და გერმანიამ აგენტი დააბეს

## შოთას ჯერი დღე-დღეზეა

**შოთა არველაძეს** მეორეჯერ შეუცვალეს „აიაქსის" მაისურაზე ნომერი — ჩვენებურს ახლა მეთოთხმეტე ნომრით შეუძლია ტიტულიანი კლუბის ღირსების დაცვა (ადრე 24 და 9 ნომრით თამაშობდა), მაგრამ მოირგებს კი ერთ დროს კრუიფის რიცხვით გაწყობილ აიაქსურ სამოსს?

ჯერ კიდევ გასული სეზონის საშუალედო პერიოდში უცხოეთის სხვადასხვა სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ პრემიერლიგური „ასტონ ვილა" შოთა არველაძითაა დაინტერესებული. თუმც ინგლისელებს პირადად არ მიუმართავთ „აიაქსის" მეგოლისთვის, საქმე აქამდე არ მისულა. მანამდე, დორტმუნდის „ბორუსიამაც" შეავლო თვალი ჩვენებურს, მაგრამ ეგ იყო და ეგ.

ახლა კი, გახურებული სატრანსფერო სეზონის დროს, ეს ორი გუნდი კვლავ მოწადინებულია, არველაძე გადაიბიროს. ამის თაობაზე შოთასთან გვსურდა საუბარი, მაგრამ ის ამსტერდამში არ გახლავთ, ჰოლანდიის ერთ-ერთ მყუდრო ბაზაზეა შეკრებაზე მყოფ „აიაქსთან" ერთად. სამაგიეროდ, შოთას აგენტს *ივან ბენეშს* დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**— რამდენად რეალურია „ასტონ ვილასა" და „დორტმუნდის" დაინტერესება შოთა არველაძით?**

— მე უბრალოდ შემიძლია, ეს ფაქტი დავადასტურო.

**— გქონდათ ამ კლუბების წარმომადგენლებთან შეხვედრა?**

— დიახ, რა თქმა უნდა, და მათ ძალიან სურთ, არველაძის გადაყვანა.

**— თავად შოთას გადაწყვეტილი აქვს „აიაქსიდან" წასვლა?**

— ამას გადაჭრით ვერ ვიტყოდი. დღედღეზე იგი „აიაქსის" ხელმძღვანელობას დაელაპარაკება და ეს შეხვედრა ძალიან ბევრს გადაწყვეტს. ასე რომ, იმის თქმაც ნაადრევია, რომელ გუნდს აქვს არველაძის დასაკუთრების მეტი შანსი — „ასტონ ვილას" თუ „დორტმუნდს".

**— პირადად თქვენ რას ურჩევთ შოთას? ალბათ აჯობებს, რომ მან პრემიერლიგაში ან ბუნდესლიგაში გააგრძელოს კარიერა.**

— ვფიქრობ, რომ გერმანიაში ან ინგლისში თამაში შოთასთვის უკეთესია. თუ ასე მოხდა, სწორ ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, რომ ძალიან ბევრია დამოკიდებული არველაძისა და „აიაქსის" ხელმძღვანელობის შეხვედრაზე.

**დავით თაგარათძილაძე**

# რატის მემშვიდეთი

**იტალიურ უმბრიაში** სეზონისწინა შეკრებაზე მყოფმა „ჩელსიმ" პირველი საწვრთნელი შეხვედრა ადგილობრივ „კაჩასთან" გამართა და 14:0 მოიგო. ლონდონელთა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ მოყვარულ თანამემამულეებთან 18 ფეხბურთელი ათამაშა, თუმცა ამათ შორის „ჩელსის" მხოლოდ ერთი ახალწვეული, ფრანგი მცველი უილიამ გალასი იყო — ფრენკ ლამპარდი შეკრებაზე ჯერ არ ჩასულა, ემანუელ პეტი კი გუნდს მოგვიანებით შეუერთდება.

ჩვენებურმა რატი ალექსიძემ, ვისაც სეზონებს შორის თბილისში ბიჭი შეეძინა, მამობა შეიფერა და თავის გუნდს ორი გოლით შეეწია — მე-12 და მე-60 წუთებზე. ამის მერე ქართველი ისლანდიელი გუდიონსენით შეცვალეს. ასევე ორჯერ გაიტანა ჯანფრანკო ძოლამ, მარიო სტანიჩმა და რატის შემცვლელმა კი მთლად ჰეთ თრიქები გაახერხეს.



რატი ალექსიძე

„ჩელსიმ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბოსნიჩი (დე გუი), ბაბაიარო (გრონკაერი), კამინგსი, დი ჩეზარე, გალასი (მელხიოტი), ლე სო (ჰარლი), მორისი, იაკანოვიჩი, სტანიჩი (კინენი), ალექსიძე (გუდიონსენი), ძოლა (ნაითი).*

**გიგა ძოგაძიძე**

### გერმანია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

შალკე 2:1 დორტმუნდი

### ავსტრია

II ტური

შტურმი 1:0 ზალცბურგი

### შვეიცარია

A ჯგუფი. III ტური

სიონი 0:1 არაუ

# მეცამეტისთვის მზად ვართ!

## მსაჯები ხომ ფეხბურთელებზე სწრაფად უნდა დარბოდნენ

**ბორჯომში** ათდღიანი შეკრების შემდეგ ქართველი მსაჯები 15 ივლისს თბილისში დაბრუნდნენ. ისინი შეკრებაზე სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის, ანატოლი მილჩენკოს მეთვალყურეობით ემზადებოდნენ მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის. შეკრება მეტად ნაყოფიერი გამოდგა. იგი მიზნად ისახავდა როგორც ფიზიკური კონდიციების ამაღლებას, ასევე თეორიული ცოდნის გაღრმავებას.

დედაქალაქში ჩამოსულ მსაჯებს კი ნორმატივების ჩაბარებამდე ლექციებზე სიარული მოუხდათ. საქმე ისაა, რომ თბილისს ეწვია უეფა-ს ინსტრუქტორი, ჰოლანდიელი კეის ბაკერი, რომელმაც თან ვიდეომასალა ჩამოიტანა და ქართველ მსაჯებს ფიფას მიერ ბოლო ხანებში დანერგილ ახალ წესებსა და სხვა მნიშვნელოვან ამბებზე ესაუბრა.

გუშინ, 17 ივლისს, მსაჯები ეროვნულ სტადიონს ესტუმრნენ. მათ წინ ნორმატივების ჩაბარება ელოდათ. აღსანიშნავია, რომ ყველამ შეასრულა დავალება. მათ შორის ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებულმა სოსო კახიანმაც. მხოლოდ ორმა, ალექსანდრე შილაკაძემ და ზურაბ დოლიძემ ვერ მოახერხა მიზნის განხორციელება. პირველს პირადი პრობლემები შეექმნა, მეორე კი, ადრეც მოგახსენეთ, მესხის თასის ფინალში მომხდარი უმსგავსო შემთხვევის მსხვერპლი გახდა — „ავაზას" მავანმა გულშემატკივრებმა ხელი მოსტეხეს.

მსაჯებმა ჯერ კუპერის ტესტი ჩააბარეს, მოგვიანებით კი ორ-ორჯერ ორმოცდაათ და ორას მეტრიან დისტანციებზეც ირბინეს. მათ ანატოლი მილჩენკო, ადიკ ღურსუნიში, ოთარ გუნთაძე და ჰოლანდიელი კეის ბაკერი მეთვალყურეობდნენ.

ნორმატივების ჩაბარების შემდეგ მსაჯებმა წყალი გადაივლეს და სასტუმრო „სიმპათიას" მიაშურეს, სადაც კვლავ კეის ბაკერის ლექციები უნდა მოესმინათ.



მსაჯებმა ნორმატივები „ეროვნულზე" ჩააბარეს

ლექციის ბოლოს გავესაუბრეთ კახაბერ მესხსა და სერგო კვარაცხელიას.

*კახაბერ მესხი:* „შეკრება მეტად მაღალ დონეზე გახლდათ ორგანიზებული. ყველა კარგად მოვემზადეთ, რაც ნორმატივების ჩაბარების დროსაც გამოჩნდა. ასე რომ, ჩვენ მზად ვართ მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის".

*სერგო კვარაცხელია:* „ეს ჩემთვის მეთვრამეტე სეზონია კარიერაში და დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი საუკეთესოც იქნება. ბორჯომში ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. მინდა აღვნიშნო, რომ ანატოლი მილჩენკომ ნათლად დაგვანახა, თუ რა არის პროფესიონალიზმი. ჩვენ სრულ მზადყოფნაში ვხვდებით მომავალ ჩემპიონატს".

ბოლოს კი გთავაზობთ მცირე ინტერვიუს უეფას ინსტრუქტორ *კეის ბაკერთან:*

**— ხართ თუ არა კმაყოფილი ქართველი მსაჯების მომზადების დონით?**

— ფიზიკური კონდიციების თვალსაზრისით მართლაც ძალიან კმაყოფილი ვარ. მათ კარგად ჩააბარეს ნორმატივები. ასე რომ, „ფიზიკაში" ნორმალური მდგომარეობაა.

**— როგორია ჩვენი მსაჯობის დონე, აკმაყოფილებს თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს?**

— რაც შეეხება დონეს, ამას ნამდვილად ვერ შევაფასებ ერთი მარტივი მიზეზის გამო. უბრალოდ, არ მინახავს, როგორ მსაჯობენ ქართველი არბიტრები.

**— თუ ელოდით ასეთ შედეგებს?**

— ვერ ვიტყვი, რომ არ ველოდი. თუმცა ფაქტია — მე კმაყოფილი ვარ.

დღეს, 18 ივლისს კი, ქართველ მსაჯებს თეორიულ ცოდნას შეუმოწმებენ, რის შემდეგაც მათ ლიცენზიებსაც გადასცემენ და მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე მომსახურეობის უფლებას ოფიციალურად დაუმტკიცებენ.

**კახა ზალამბერიძე**

# ოკეანე დინამოსკენ მოექცა

**მეცამეტე** ეროვნული ჩემპიონატი სამტრედიაში ფეხბურთს კარგს არაფერს უქადის. იქაური „იბერია" ჯერ კიდევ მეთორმეტე გათამაშებისას აიბარგა მშობლიური ქალაქიდან და თბილისში, „შევარდენს" შეფარებული დაემშვიდობა უმაღლეს ლიგას.

სამტრედია პირველლიგელი „ოკეანის" იმედად დარჩა და სანამ პრეზიდენტი მურმან ძნელაძე ფეხზე იდგა, „ოკეანეს" არც უჭირდა. წაიქცა კაცი, სტადიონზევე უმტყუნა გულმა და ფინანსური პრობლემებიც გაჩნდა.

„ოკეანემ" სეზონი ჩაამთავრა, მომავალ ჩემპიონატს ფინანსურად ველარ გასწვდებოდნენ და გუნდმაც ახალი პატრონის ძიება დაიწყო. იპოვა კიდეც...

ყველა საკითხი გარკვეულია, დღეიდან სამტრედიული „ოკეანე" თბილისის „დინამოს" ფარმ-კლუბად შეგვიძლია მოვიხსენიოთ. სამტრედიული კლუბი ჩემპიონატის პირველ ლიგაში „დინამო-ოკეანის" სახელით ითამაშებს.

საფეხბურთო კლუბი „დინამო" უპატრონებს „ოკეანის" საფეხბურთო სკოლასაც. „ოკეანე" კი თავისი ფეხბურთელებით პირველ რიგში „დინამოსთვის" გაირჯება.

დარჩა სამტრედია უფეხბურთოდ. ახალგაზრდული „დინამო" კი ალბათ „ოკეანეს" სამი ფეხბურთელით გაძლიერდება. დავით გაბედავა, ომარ მეგენეიშვილი და ვახტანგ ჩიგოგიძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრობის კანდიდატები არიან.

**დათო დანელია**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *რევაზ ძოძუაშვილი* | ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (კოლხეთი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (დინამო), პ. ჯინჭარაძე (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი), ა. შეყრილაძე (სამგურალი), კ. ჩხეტიანი (დებრეცენი, უნგრეთი), ვაჩიბერაძე, ზ. არჩვაძე (ბათუმი), დ. ჯანაშია (ტრანსფერზეა), ტოგონიძე, ლევან სილაგაძე (?) | სტურუა (თსუ), აკოფიანი (დილა), ლ. ჭელიძე, ბერელიძე, გამეზარდაშვილი (ინტერი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (სამგურალი), გ. შენგელია, პარამონოვი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), პიროშინი (შერიფი, მოლდოვა), თ. მაღლანია (სკონტო 2, ლატვია), ძამსაშვილი (იბერია), გ. ჩხეტიანი (შევარდენი, ქუთაისი) | სამგურალი 0:0, 2:1, გურია 5:0, ბათუმი 4:2, მეტალურგი 6:1, 1:0, 8:1, ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 0:0, სიონი 5:1 |
| **ლოკომოტივი** *კახა ცხადაძე* | გ. შენგელია, პარამონოვი (ტორპედო), გიგი კვარაცხელია (სკონტო, რიგა, ლატვია), ასლანაძე (გურია); გიგი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, დინამო) | დ. გოდერძიშვილი, დავითიძე (მერანი), ძოძუაშვილი (ერზერუმსფორი 2, თურქეთი), წერეთელი (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კობერიძე, ხურცილავა (ლოკომოტივი 3), სირბილაძე (თბილისი), გელა ქორიძე (ბათუმი); კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 1:1, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0 |
| **დინამო** *გიგი ნოდია* | ი. შენგელია (მერანი), ხაჩირაშვილი (გორდა) | შალამბერიძე, შავგულიძე (კოლხეთი), ხუციშვილი (მერანი), ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე (ტორპედო), ამისულაშვილი (იბერია), დარასელია (ცსკა, კიევი, უკრაინა), მამალაძე (ინტერი), ბ. შელია (დინამო 2), მიქავა (ტრაბზონსფორი 2, თურქეთი), ვ. ქუთათელაძე (?); გიგი ნოდია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | ფრაიბურგი (გერმანია) 0:1, მატლახ შპორტფერაინი (მიუკ, გერმანია) 4:1 |
| **ვიტ ჯორჯია** *ჯანი კარნეველი* | | ლ. კვარაცხელია, ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია 2), მამარდაშვილი, არეშიძე, ზ. მეტრეველი, ბეროშვილი (თსუ), ზაზაშვილი (ხალიბი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა) | რიდი (ავსტრია) 1:0, 1:2, ტრუა (საფრანგეთი) 0:6, 1:1 |
| **კოლხეთი** *სოსო ფილია* | შალამბერიძე, შავგულიძე (დინამო), ხუჭუა (გურია), ღლანიძე (მეტალურგი, კრასნოიარსკი, რუსეთი) | იველჩიანი (იბერია), მიქელთაძე (იბერია), ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (ტორპედო), ქუტიძე (ქობულეთი), გიორგი კვარაცხელია, მ. ფილია (კოლხეთი 2) | სამგურალი 1:0, ბათუმი 2:1, ქობულეთი 2:1, 2:0, დობრუჯა (ბულგარეთი) 1:0, ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) 0:2 |
| **მერანი** *ოთარ გაბელია* | დევაძე (პოლიგრაფტეხნიკა, ოლექსანდრია, უკრაინა), დ. გოდერძიშვილი, დავითიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (დინამო), კორომზინაძე (გორდა), გ. ჩხაიძე, ქადაგიძე, ხუჯაძე (ბათუმი), გ. კვეტენაძე (იესილი, კოქჩეტავი, ყაზახეთი), მ. მინაშვილი, დევიძე, თოლორდავა, ივანიშვილი, ოდიშარია (?) | რევაზიშვილი (დილა), ი. შენგელია (დინამო), დავითაშვილი (სიონი), გაგუა, გ. ხიზანიშვილი (იბერია), თ. ჩხაიძე, ჯ. თოდუა, ავალიანი, ნათობაძე, ფურცელაძე (ამირანი), მინჯია (თსუ), დათუნაშვილი (თბილისი), გაბელია (არ თამაშობდა), მუშკუდიანი (?, ბულგარეთი) | თსუ 3:2, ქაზუკიანი 3:2 |
| **ბათუმი** *ასლან ბალაძე* | მჟავანაძე (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი), თედორაძე (ტავრია, უკრაინა), კაკაბაძე (ტორპედო მაზ, მინსკი, ბელარუსი), გელა ქორიძე (ლოკომოტივი), პაპიძე, მახარაძე, ღლონტი, ა. მუჯირი, ყულეჯიშვილი (?) | თურმანიძე (სამგურალი), გ. ჩხაიძე, ქადაგიძე, ხუჯაძე (მერანი), ზ. გვაზავა (თსუ), გალოგრე (ინტერი), ვაჩიბერაძე, ზ. არჩვაძე (ტორპედო), ქითანავა (ბათუმი 2) | კოლხეთი 1:2, ტორპედო 2:4, სამგურალი 3:0, გურია 1:1, 1:0 |
| **სიონი** *ფირუზ რეხვიაშვილი* | ისიანი (ტორპედო), ასპინძელაშვილი (მილანი), დავითაშვილი (მერანი), კ. მეტრეველი, გაბისონია (?), სოლოღაშვილი (თამაში მიატოვა); სპარტაკ არჩვაძე (მთავარი მწვრთნელი) | რ. ხაჭაპურიძე, ხორგუაშვილი (დილა), დაუშვილი (არ თამაშობდა), გლუნჩაძე (თორი); ფირუზ რეხვიაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ნორჩი დინამოელი 2:0, ტორპედო 1:5 |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | სოხაძე (თსუ); თ. მეტრეველი, ა. გელაძე, ს. ბაჩილავა, მჭედლიძე (?), გუგუნავა (თამაში მიატოვა); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | ვ. კილასონია, გ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), კორომზინაძე (მერანი), ზვ. ლაბაძე (თსუ), ნ. ლობჟანიძე (უეფასგან დისკვალიფიცირებულია), ხაჩირაშვილი (დინამო); იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ლოკომოტივი 1:1, თსუ 2:0, ზოოვეტი 5:2 |
| **გურია** *ზაზა გურიელიძე* | დ. მინაშვილი, ძნელაძე (?), კირკიტაძე (?, გერმანია) | ასლანაძე (ლოკომოტივი), მარლიშვილი (ცხინვალი), ნინუა (იბერია), ყუფარაძე, ტაბატაძე, ნ. ბაქრაძე, სიამაშვილი (ლოკომოტივი 3), მგელაძე (მერცხალი), ხუჭუა (კოლხეთი), ებრალიძე (თსუ) | ტორპედო 0:5, ბათუმი 1:1, 0:1 |
| **მეტალურგი** *ვასილ ჭეიშვილი* | აჭარაძე, ფანცხავა, მახათაძე (?) | ჯ. თავბერიძე (ინტერი), ჭყონია (მილანი), სუხიაშვილი (თორი), ლ. ხმალაძე (იბერია) | ტორპედო 1:6, 0:1, 1:8, სამგურალი 1:2 |
| **სამგურალი** *გია გიგატაძე* | კვერნაძე (დებრეცენი, უნგრეთი), ზ. ქუთათელაძე, ო. ბობოხიძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), ვადაჭკორია (?) | ა. შეყრილაძე (ტორპედო), ო. ფხაკაძე (ოკეანე), ნებიერიძე (მეტალურგი, პერნიკი, ბულგარეთი), კ. ჯანაშია (თორი), ხუნდაძე (ქიაფაზი, განჯა, აზერბაიჯანი), ნაროუშვილი (ინტერი) | კოლხეთი 0:1, ტორპედო 0:0, 1:2, მეტალურგი 2:1, ბათუმი 0:3 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# მშობლეობა საქართველოში

## ჩვენებური პეიზაჟი: ფეხბურთის ზღვასთან, ხრიოკ ნაპირზე და მღვრიე წყალში, დგანან ბავშვები...



მურმან [illegible]ის ფოტო

### თვალი დაუდგეს „დინამოს“ და ევროპას

ჩვენი ფეხბურთის დონე რომ არადამაკმაყოფილებელია, ვფიქრობ, ეს სადავო არ არის.

რაც გუშინ იყო, დღევანდელი მას ვერ შეედრება, ხვალინდელი კი დღევანდელზე უარესი იქნება — ასეთია ჩემი აზრი და, ვეცდები, ეს დავასაბუთო, უფრო სწორად, ვთქვა უმთავრეს მიზეზზე — ბავშვთა ფეხბურთზე, რომელსაც, ღმერთმა ინებოს, ეშველოს და მიეხედოს.

ბავშვთა ასაკობრივი, ფიზიოლოგიური და ყველაზე მეტად ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ნორმებისა და თავისებურებათა გაუთვალისწინებლობას, სპორტული წვრთნის საფუძვლებისა და მეთოდიკის ასეთ უგულებელყოფას, არ შეიძლება, ძალიან ცუდი შედეგები არ მოჰყვეს და ეს მხოლოდ მოზარდის ფეხბურთელად ჩამოყალიბებასა და მის სპორტულ კარიერას როდი შეეხება.

ქვეყანაში უმუშევრობაა და უმუშევრობის ტალღამ ბევრი შემთხვევითი ადამიანი მიარიყა ფეხბურთის ნაპირს, კარგიც და ცუდიც. ძალიან გაიზარდა საფეხბურთო სკოლების, მათი ფილიალების თუ უბრალოდ, გუნდების რაოდენობა. თბილისში აღარ დარჩა რაიმე მოსწორებული ადგილი, სადაც ბავშვები არ ვარჯიშობენ. თავისთავად ეს, რა თქმა უნდა, კარგია. ცუდია ის, რომ ამ მოედნებზე უსაფუძვლო ამბიციების მქონე თვითნასწავლი ახალბედა მწვრთნელებისა და მათი მხარდამჭერი ჯგუფების უკონტროლო თვითშემოქმედებაა, რაც ძირითადად ბავშვების ფორსირებული მომზადების ფორმას იღებს. თვალი უნდა დაუდგეს ჯერ „დინამოს“, მერე ევროპას. ამისთვის კი საჭიროა მხოლოდ ერთი რამის ცოდნა — შენს ხელში ჩავარდნილი ჯიშიანი კვიცები უნდა გახედნო სხვაზე ადრე და სხვაზე მკაცრად.

საქართველოში დღეს არ არის ფეხბურთის სკოლა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. ფულს ყველგან მშობელი იხდის. უხდის ხელფასს მწვრთნელს, აფინანსებს ტურნირებს, შეკრებებს, ყიდულობს აღჭურვილობას. მშობელი იხდის და მშობელი დამკვეთია. ბუნებრივია, ის ცდილობს, რომ მისი დაკვეთა შესრულდეს, მით უმეტეს, თუ მწვრთნელი არ არის მზად პროფესიულად და არ იცის, რა გააკეთოს — შექმნას ბრძოლისუნარიანი გუნდი თუ იფიქროს ფეხბურთელის გაზრდაზე, რაც არ არის ერთი და იგივე და პირველმა მეორეს შეიძლება ხელი შეუშალოს.

მშობლების უმრავლესობა ნათამაშევი ბიჭია. ბურთიც კარგად იციან და ფეხბურთშიც კარგად ერკვევიან. მათ გაიარეს საფეხბურთო სკოლა, ითამაშეს გუნდებში მეტ-ნაკლები წარმატებით, რაც ფეხბურთს შეეხება, ყველაფერზე უკამათიათ და ყველაფერზე თავისი აზრი აქვთ. მათ თავისუფლად შეიძლება ჩააბარო მოზრდილ ყმაწვილთა გუნდი, ბავშვების გაწვრთნაში მათი ჩარევა კი არ შეიძლება. მათ შეიძლება ახსოვთ, რას ასწავლიდნენ 15-16 წლისებს, უეჭველად ახსოვთ, რას აკეთებდნენ გუნდებში, მაგრამ არ შეიძლება, ახსოვდეთ, რას ასწავლიდნენ და რას აკეთებდნენ 8-10 წლისები. ბავშვებთან მუშაობისას სპეციალური ცოდნაა აუცილებელი.

მშობელს უნდა, მისი ბავშვი რაც შეიძლება მალე დაემსგავსოს ფეხბურთელს, აკეთოს იგივე მოძრაობები, ილეთები, დარტყმები, რასაც დიდი ფეხბურთელები აკეთებენ და რაც უფრო მალე ხდება ეს ყველაფერი, მით მეტია სიხარული და კმაყოფილება. მშობელს უნდა, მის ბავშვს ეს ყველაფერი ასწავლონ უფრო ადრე და უფრო მკაცრად მოთხოვნით, რადგან ჰგონია, რომ თავად იმიტომ ვერ გახდა დიდი ფეხბურთელი, რომ იზარმაცა ან საკმარისად არ დატვირთეს.

მშობელმა ისიც იცის, რომ ყველა ვერ გახდება ფეხბურთელი. იგი გულის სიღრმეში იმედოვნებს, რომ სწორედ მისი შვილი იქნება ის ბედნიერი და ცდილობს, ბავშვი პატარაობიდანვე ზედაპირზე იყოს, არ იშურებს არც დროს, არც ენერგიას, არც ფულს, ჩქარობს და ამ სიჩქარეში ვერ ხვდება, რომ იმ კაცს ემსგავსება, რომელსაც ლუკა ბაბუამ ხეჭეჭურის ნერგი მიაწოდა.

მშობლების უმრავლესობას შეფასების კრიტერიუმიც ერთი აქვს: გუნდი იგებს თამაშებს — მწვრთნელი კარგია, აგებს — ცუდი. მან არ იცის და არც არის ვალდებული, იცოდეს ასაკობრივი პერიოდიზაცია და ასაკობრივი ნორმები. მშობელს უნდა, რაც შეიძლება მალე დაინახოს იმ საქმის შედეგი, რაშიც ის თითქმის მთლიანად იხარჯება, მით უმეტეს, თუ მას მწვრთნელის კვალიფიკაციაში ეჭვი ეპარება.

### რა დროს შენი მუშაობაა, შვილო?!

რა უნდა ქნას მწვრთნელმა, უნდა შეასრულოს თუ არა ასეთი დაკვეთა, როცა იცის, რომ ეს საზიანოა ბავშვის სპორტული კარიერისთვის. რას აკეთებს კაცი, რომელსაც მშობელზე გაცილებით მეტის ცოდნა ევალება და აქედან გამომდინარე, დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს ბავშვის, დამკვეთისა და ქვეყნის წინაშე. როგორც მშობელი ავილეთ საუკეთესო ვარიანტში, ავილოთ ასევე მცოდნე და თავისი საქმის ერთგული მწვრთნელი.

კონკურენცია დიდია, გარშემო უამრავი ახალი გუნდი და ამბიციური მწვრთნელია, რომელნიც თვითდამკვიდრებისთვის იბრძვიან. არ ზოგავენ არც ძალას, არც ენერგიას, რათა ცნობილ მწვრთნელს მოუგონ და ავტორიტეტი აიმაღლონ. მწვრთნელს სხვა სპეციალობა არა აქვს, რომ ჰქონდეს კიდეც, ძნელია ფეხბურთის შემდეგ სხვაგან მუშაობა. გარშემო კი უამრავი ადამიანი ყველა საშუალებით ცდილობს, მას გადაასწროს. მან თავი უნდა დაიცვას. არც თვითონ უყვარს წაგება და არც არავინ აძლევს ამის უფლებას. იგი ებმება ბრძოლაში, რომელსაც ერთი პრაქტიკული მიზანი აქვს — შედეგი (ნებისმიერ ასაკში ნებისმიერი საშუალებით).

ისეთი მძაფრი კონკურენციის პირობებში, როგორიც დღეს ჩვენშია, ძალიან გამოცდილ მწვრთნელსაც კი გაუჭირდება დღევანდელი კვერცხიც მიიღოს და ხვალინდელი ქათამიც. მით უმეტეს, დღეს აღარ არის ქუჩა, მალე, ალბათ, ორღობეც გაქრება და ჭალაც. ყველა, ვისაც კი რაიმე მონაცემი აქვს, ფულით თუ უფასოდ 6-7 წლიდან ფეხბურთის სერიოზული, სტუდიური სწავლებით არის დაკავებული.

ჩვენი ბავშვები ძალიან ადრეული ასაკიდან იწყებენ სისხლსავსე საფეხბურთო ცხოვრებას თითქმის პროფესიული ფეხბურთელის რეჟიმში. ტურნირები, ამხანაგური თამაშები, კალენდარული მატჩები, შეკრებები, სადაც ბრძოლაა ქულისთვის, ადგილისთვის, „სასტავისთვის“ (რისი ფასიც ბავშვმა ადრეული ასაკიდან იცის). სავარჯიშო პროცესი არ არის გამიზნული სამომავლო დაოსტატებისთვის, ვარჯიში ემსახურება კონკრეტული თამაშისთვის თუ ტურნირისთვის მზადებას. დიდია დაძაბულობა ბავშვის გაუმაგრებელი ცენტრალური ნერვული სისტემისთვის.

ბავშვს შეუძლია მთელი დღე ითამაშოს და ეს აკეთოს ყოველდღე მთელი წლის განმავლობაში, ის არ გადაიღლება. მას აქვს გადაღლის საწინაამდეგო მექანიზმი — რაღაც განყოფილება თავის ტვინში, რომელიც საჭირო მომენტში გამორთავს თუ გადართავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და წამიერი შესვენების შემდეგ ბავშვი ისევ მზად არის სამოქმედოდ.

როდესაც ბავშვი ვარჯიშისას თამაშისთვის ემზადება, თამაში კი ქულის მოსაპოვებლადაა, ეს არ არის სასწავლო პროცესი, ეს მუშაობაა. მას არ ეძლევა საშუალება გამოირთოს, ამას უმალ ამჩნევენ და ის ისჯება — მშობლისგან საყვედურით, მწვრთნელისგან — გამოცვლით. 10 წლის ასაკიდან დაწყებული მუშაობა ყველაზე ძლიერ ბავშვსაც კი ორ-სამ წელიწადში ნაპერწკალს აცლის თვალებში, ორთქლს და გაზს უკარგავს. უშუალოდ თამაშში ის სულ უფრო ნაკლებ სიხარულს ნახულობს. ის ეჩვევა სამუშაოს შესრულებას, შემდეგ ხდება იმ სამუშაოს შემსრულებელი, რომელსაც ფეხბურთი ჰქვია.

13-14 წლისთვის მას შეიძლება მოვუშალოთ გადაღლის საწინააღმდეგო მექანიზმი, რომელიც მას ძალიან სჭირდება და დასჭირდება მომავალშიც, მიუხედავად იმისა, ფეხბურთელი გახდება თუ არა.

ადამიანს გააჩნია თვისება, რომელიც მას ეხმარება სტრესული სიტუაციების დაძლევაში (ჩვენს შემთხვევაში გადაღლის აცილებაში). ეს ადაპტაციაა, — შეგუების უნარი. ვარჯიში ორგანიზმის სისტემების და ფუნქციების მზარდ დატვირთვებთან ადაპტაციას ემსახურება: ბავშვი იოლად ეგუება დატვირთვებს, რაც, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ძალიან ცუდია, თუ ის შეეგუა გადატვირთვებს. ჩემი აზრით, სწორედ ამას მივაღწიეთ ბოლო წლებში.

ცენტრალური ნერვული სისტემა მართავს ორგანიზმს, მაგრამ მას ჰყავს თავისი მბრძანებელი, რომელსაც პირობითად გონს დავარქმევ. შედეგზე მუშაობისას ჩვენ ვზემოქმედებთ ბავშვის გონზე. მწვრთნელი ბრძანებით და წაქეზებით („ჯოხით“ და „სასტავით“), მშობელი მუქარით, რომ რაღაცას არ შეუსრულებს და დაპირებით, რომ რაღაცას შეუსრულებს (ისევ „ჯოხი“ და „კამფეტი“).

ბავშვი, რომელმაც ადრეულ ასაკში ისწავლა ზედაპირზე ყოფნის, პოპულარობისა და „კამფეტის“ ფასი, აიძულებს გონს, ზემოქმედება მოახდინოს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ამუშაოს ის იმ დროსაც, როცა მას ამის გაკეთება არ უნდა (ბავშვს ყურადღებას აქცევენ და მას ეშინია, რომ მხოლოდ შენიშვნის მიცემით არ დაკმაყოფილდებიან).

ბავშვის გონი არ არის მზად, მომავალზე იფიქროს. მას დღევანდელი დღე აინტერესებს, რადგან ხვალ, თუ უფროსებს არ დაუჯერა, შეიძლება, მოაკლდეს თითქმის ნარკოტიკად ქცეული პოპულარობა (თუნდაც მხოლოდ სკოლაში და ოჯახში). ეს მისთვის ტრაგედიაა, ამიტომ ის აიძულებს გონს, ურჩი ცენტრალური ნერვული სისტემა დაიმორჩილოს ერთხელ, ორჯერ... ცნს-ს, ისევე როგორც ორგანიზმის სხვა სისტემებს, ადაპტაციის უნარი აქვს. დროთა განმავლობაში ის ეგუება დისკომფორტის პირობებში მუშაობას.

14-15 წლის მოზარდის ორგანიზმში ჩნდება ტესტოსტერონი, ჰორმონი, რომელიც ბავშვს კაცად აქცევს, მაგრდება ძვალი, იზრდება კუნთის მასა. ორგანიზმი ითხოვს დატვირთვებს, ის მზადაა ნამდვილი მუშაობის დასაწყებად.

ჩვენი 15-16 წლის ფეხბურთელების შემხედვარე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ დროს იჩენს თავს ცნს-ის გადაღლა. ქრონიკულად გადაღლილი, ემოციებისგან დაცლილი ცნს უხალისოდ ეხმარება ორგანიზმს მუშაობაში, სრული დატვირთვით ამოქმედებაში. თვალებში აღარ არის ცეცხლი, მოძრაობებში არ იგრძნობა აზარტი, „ჯიგარი“ არ იწვის.

ემოციური მუხტის გარეშე ვარჯიშიც და თამაშიც ხდება ჯოჯოხეთური სამუშაო, რომელსაც მხოლოდ ფსიქოლოგიურად ძალიან ძლიერი ან შემონახული ბავშვები შეძლებენ. შენახვით კი ისინი უფრო ინახებიან, რომელთაც ცოტა გვიან დაიწყეს თამაში, ხშირად ისხდნენ სათადარიგოთა სკამზე. უფრო ნიჭიერებს კი დიდ ფეხბურთში მოსვლამდე ვკარგავთ და არა მარტო ფეხბურთისთვის. მათ შემდეგ ცხოვრებაშიც უჭირთ ადგილის მონახვა.

ასეთ შედეგს მოიტანს, ჩემი აზრით, იძულებით თუ ნებით ადრეული ასაკიდან შედეგზე მუშაობა, როცა მეორე პლანზე გადადის ან სულაც უგულებელყოფილია სპორტული ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის ელემენტარული ნორმები, რაც ყველამ იცის ან ყველამ უნდა იცოდეს:

I. სპორტსმენის და საერთოდ პიროვნების ჩამოყალიბების მთავარი პრინციპი:

თამაში — სწავლა — მუშაობა

— თამაშის პერიოდი (6-დან 9 წლამდე) ძალიან შემცირებულია სწავლების ხარჯზე

— სწავლის პერიოდი (9-დან 13 წლამდე) უკვე მუშაობაა

— მუშაობის პერიოდი (13-14 წლიდან) მიმდინარეობს ემოციური გადაღლის პირობებში

თამაშის ამოგდება ბავშვის ზრდიდან იწვევს ბავშვობის დაკარგვას, ბავშვობის დაკარგვა — ნაადრევ მომწიფებას და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ნაადრევი ფეხბურთელობა იწვევს სპორტული კარიერის დაკარგვას.

II. მოტივაცია: ყველაზე მკაცრი რუსული სკოლაც კი გამორიცხავს დაწყებითი მომზადების ეტაპზე რაიმე სხვა მოტივების ქონას, გარდა

1. ემოციური მიმზიდველობა — ვარჯიშზე რომ მიუხაროდეს და იქაც მხოლოდ დადებითი ემოციები მიიღოს (გაერთოს საყვედურებისა და ბრძანებების გარეშე)

2. მოვალეობის მოტივი — მოვალეობის გრძნობა ბავშვს 5-7 წლისას უჩნდება, დიდი ხალისით ასრულებს ყოველ დავალებას და სწორედ ამ ასაკშია საშიში უცოდინარი მწვრთნელი. მოვალეობის გრძნობა ისე უნდა წარიმართოს, რომ სათამაშო კონცენტრაციაში გადაიზარდოს; არასწორი წარმართვით კი ვაიძულებთ მის გონს, პირველი პატარა გარიგება მოახდინოს ცნს-თან და 7-8 წლისას პირველ ბზარს ვუჩენთ მის დიდ ფეხბურთელობას.

წარმატების მიღწევის მოტივი („მოწამვლა“) და ცოდნის გაღრმავების მოტივი მხოლოდ სპეციალიზაციის ეტაპზე შეიძლება გაჩნდეს, როცა მთლიანად ჩამოყალიბდება მოძრაობისა და ხედვის ანალიზატორები (11-12 წ) და ამ მოტივების რეალიზაციაც მხოლოდ შეგნებული შრომის პირობებში უნდა მოხდეს. უნდა იმუშაოს საქმიანმა ორმხრივმა კავშირმა. ბავშვმა გაგონილის და დანახულის მოდელის შექმნა უნდა მოახერხოს გონებაში და ის შეასრულოს. არა აქვს მნიშვნელობა, სწორი მოდელი შეიქმნა თუ არა. მთავარია, მან შეიქმნას მოდელი, შეასწოროს, იფიქროს და შეასრულოს — ის ამ დროს შემოქმედებითად მუშაობს და რაც არ უნდა მონოტონური და დამღლელი იყოს ვარჯიში, გადაღლა გამორიცხულია.

III. რაც უფრო კარგი ბავშვები არიან მოედანზე, მით მეტია დამრიგებელი, რჩევის მიმცემი, წამქეზებელი, განსაკუთრებით „მატჩებზე“. ასეთი თამაშები არ არის სწავლების პროცესის ნაწილი. ასეთი „მატჩები“ ხელს უშლის ბავშვს, გამონახოს დროის, სივრცის და მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევის საკუთარი გზა. ხელს ვუშლით, თავისი თვალით „დაინახოს თამაში“. არ ვაძლევთ საშუალებას, „შევიდეს“ თამაშში. შედეგად ნელდება გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფე, იფანტება ყურადღება, იკარგება სათამაშო კონცენტრაცია და პირადი ინიციატივა.

ჩემი აზრით, მთავარი ხარვეზი ნორჩ ფეხბურთელებთან მუშაობაში ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ნერვული პროცესების სისწრაფე და მოქნილობა, მოვალეობის გრძნობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა და შეგნებული, შემოქმედებითი შრომა ის საფუძველია, რომლის ბაზაზეც ტექნიკური, ტაქტიკური თუ ფიზიკური სრულყოფა სრულფასოვნად მოხდება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საკმაოა რეზერვი და პოტენციალი დიდი ფეხბურთელების გასაზრდელად.

**ავთანდილ ძოწენიძე**
**ბავშვთა მწვრთნელი**

40º Copa América
Colombia 2001
11 al 29 de julio

# შემცვლელებმა გაამართლეს


REUTERS მედიაცენტრიდან

კოსტა რიკა — ურუგვაი. პაულო ვანჩოპეს შეჩერება ურუგვაელებს ძალიან უჭირდათ

**C ჯგუფი. II ტური**

**კოსტა რიკა 1:1 ურუგვაი**
1:0 ვანჩოპე (28), 1:1 მორალესი (53)
17 000 მაყურებელი

**ჰონდურასი 2:0 ბოლივია**
1:0, 2:0 გუევარა (54, 69)

„**პაულო ვანჩოპემ** და მისმა თანაგუნდელებმა გამოაცოცხლეს მესამეხარისხოვანი კოპა ამერიკის გათამაშება" — ამგვარად აფასებენ საინფორმაციო სააგენტოები სამხრეთ ამერიკის წლევანდელ ჩემპიონატსა და ამ ჩემპიონატზე ბედის წყალობით მოხვედრილ კოსტარიკელთა თამაშს. როგორც ვიცით, ცენტრალური ამერიკის ეს პატარა ქვეყანა კოპაზე ბობოლების გვერდი-გვერდ ყოფნას ტურნირზე კანადელთა წაუსვლელობას უნდა უმადლოდეს. მათ სერიოზულ ძალადაც არავინ აღიქვამდა. არადა, კოსტარიკელებმა პირველივე მატჩი ჰონდურასელებს სძლიეს (სხვათა შორის, ისინიც არგენტინის ნაცვლად არიან მიწვეულნი), მეორე შეხვედრაში კი სახელოვან, კოპას თოთხმეტგზის მფლობელ ურუგვაელებთან დაამტკიცეს, რომ ხელწამოსაკრავები არ არიან.

მატჩი ერთობ დაძაბული, საინტერესო და ემოციური გამოდგა. ნამდვილად გამორჩევის ღირსია მანჩესტერული „სიტის" თავდამსხმელის, ვანჩოპეს თამაში და მისი შესანიშნავი გოლი. ვანჩოპემ სწრაფი დრიბლინგით მეტოქეთა დაცვა გაჭრა, სამი მცველი ჩამოიშორა და ძლიერად გაისროლა. ბურთს მცველი გადაეფარა, მაგრამ დამატებაზე ისევ ვანჩოპემ ივარგა და ანგარიშიც გახსნა.

ურუგვაელებმა მეორე ნახევარში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. ეს მექსიკურ „ტოლუკაში" მობურთალმა კარლოს მორალესმა მოახერხა.

თამაში ამის შემდეგაც ორმხრივი იერიშებით წარიმართა. თუმცა კოსტარიკელები, რომელთაგანაც, რაღა თქმა უნდა, ვანჩოპე გამოირჩეოდა, უფრო აგრესიულები იყვნენ და რამდენჯერმე გოლის გატანის კარგი შანსიც ჰქონდათ.

მატჩის საბოლოო ანგარიშმა გუნდებს ოთხ-ოთხი ქულა მოუტანა და ურუგვაელებიცა და კოსტარიკელებიც C ჯგუფიდან მეოთხედფინალში გასვლის ოეალური კანდიდატები არიან.

C ჯგუფის მეორე შეხვედრაში ჰონდურასელებმა ბოლივიელებს სძლიეს. ამადეო გუევერამ დუბლი შეასრულა, რასაც სამხრეთამერიკელებმა ვერაფრით უპასუხეს. და თუ კარიბელებმა მეტის გატანა ვერ შეძლეს, ეს მეტოქის დაცვის ხისტი, უხეში თამაშის დამსახურებაა. ბოლივიელებს მსაჯმა მინდვრიდან ორი ფეხბურთელი გაუძევა.

**გიორგი გაგარდაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ურუგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჰონდურასი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბოლივია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

III ტური, 19 ივლისი: ბოლივია — კოსტა რიკა; ჰონდურასი — ურუგვაი


REUTERS მედიაცენტრიდან

ჰონდურასი — ბოლივია. ამადეო გუევარამ (მარცხნივ) თავად ორჯერ გაიხარა, ბოლივიელები კი ორჯერ დაამწუხრა



# ხაიმეც ძველივით ლაპარაკობს
## მენდიეტა ვალენსიასთვის, ვალენსია ვალენსიელებისთვის

**ბოლო ინფორმაცია** ისეთი იყო, რომ ვალენსიელი გაისკა მენდიეტას მყიდველთა რიგში პირველი „ლაციო" იდგა. ერთგვარად არეულ რომაულ კლუბს „მანჩესტერ იუნაიტედში" გაყიდული ხუან სებასტიან ვერონის შემცვლელად თურმე სწორედ ბასკი ეგულება და გულშემატკივართა გულის მოგება თუნდაც ერთი სერიოზული შენაძენით სურს. იმავდროულად, მენდიეტას ყიდვა მადრიდის „რეალსაც" უნდა.

მაგრამ, „ვალენსიას" პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ხაიმე ორტიმ წინამორბედი პედრო კორტესის მსგავსად დაიწყო ლაპარაკი, განსაკუთრებით, როდესაც „რეალი" უხსენეს:

„თუ მადრიდელებს მენდიეტას გადაყვანა სურთ, ფეხბურთელის კონტრაქტის გამოსასყიდი თანხის გადასახდელად მოემზადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათთან მოსალაპარაკებლად არ დავსხდებით".

ამასთან, ორტიმ დასძინა, რომ „რეალს" ესპანური ტიტულისთვის ბრძოლაში კონკურენტად განიხილავს და არ სურს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გადაულოცოს.

„ჩვენს ქალაქში მენდიეტა ხალხს ძალიან უყვარს, თუმცა კლუბის ინტერესებსაც უნდა გავუწიოთ ანგარიში. ჩვენ ავირჩევთ იმ გზას, რომელიც „ვალენსიასთვის" ყველაზე მომგებიანად გამოჩნდება. მნიშვნელობა არ აქვს, როგორ წინადადებებს მივიღებთ ამ მოთამაშესთან დაკავშირებით. თუნდაც ეს წინადადებები მეტისმეტად მდიდრული იყოს".

ახლა დავაზუსტოთ: „რეალს" მენდიეტას შეძენა დიახაც სურს, მაგრამ ზემოხსენებული გამოსასყიდი თანხის, 10 მილიარდი პესეტის ანუ 51,2 მილიონი დოლარის გადასახდელად მზად არ არის.

რაც შეეხება „ლაციოს", რომლითაც საუბარი დავიწყეთ, იგი თურმე 8 მილიარდ პესეტას იხდის, რაც დოლარებში 41 მილიონია.

თავად მენდიეტა ასე ამბობს: „ოთხი წელია არავისგან არანაირი წინადადება არ მიმიღია, ასე რომ, გთხოვთ, ჩემი მდგომარეობა გაიგოთ. ვიცი, „ვალენსიას" ხელმძღვანელობა ჩემს სანაცვლოდ დიდძალი თანხის მიღებას აპირებს, მაგრამ კარგი იქნება მოლაპარაკების საშუალებას თუ მომცემენ. ტანში მაჟრჟოლებს, როდესაც გასულ სეზონში, „მესტალიაზე" დატრიალებული ამბები მაგონდება. ჩემს გადასვლაზე ჯერ ხეირიანად ლაპარაკიც არ იყო დაწყებული, რომ უკვე მოღალატეს მეძახდნენ".

ამასთან, მიმომხილველთა აზრით, მენდიეტას ესპანეთში დარჩენა ურჩევნია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ლაციოსა" და „რეალს" შორის, მადრიდის გუნდს ამჯობინებს.

და ბოლოს, „ვალენსიას" 27 წლის კაპიტანზე ის უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ახალი მწვრთნელი, რაფაელ ბენიტესიც გაიცნო.

**ბაბუნა ძიძია**

## აბა, პასპორტი მაჩვენე!

# არცოდნა-არცოდვაც ისჯება

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაცია აგრძელებს რამდენიმე თვის წინ დაწყებულ ყალბისმქმნელთა დამსჯელ საქმიანობას. ამჯერად ცრუ ევროკავშირული პასპორტით სარგებლობისთვის გუსტავო ბარტელტი და იდრისა კეიტი დაისაჯნენ. „რაიო ვალეკანოს" არგენტინული წარმოშობის ფეხბურთელის, გუსტავო ბარტელტის იტალიური პასპორტი ყალბი აღმოჩნდა. ხოლო სპილოს ძვლისნაპირელი კეიტი კი „ოვიედოს" რიგებში თაღლითური გზით ნაშოვნი ფრანგული პასპორტის შემწეობით ევროკავშირელად ითვლებოდა. ესპანურ გუნდებს, როგორც ვიცით, მოედანზე ერთბაშად სამი არაევროკავშირელის გაყვანის უფლება აქვთ. პასპორტების გაყალბება მათ, რაღა თქმა უნდა, ამგვარი ლიმიტის არსებობის დროს დიდად აძლევდათ ხელს.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ სწორედ გუნდები, „რაიო ვალეკანო" და „ოვიედო", აგრეთვე ფეხბურთელთა აგენტები ცნო მთავარ დამნაშავედ. თუმცა კეიტი და ბარტელტი მცირეხნიან დისკვალიფიკაციას მაინც ვერ გადაურჩებიან. სასჯელის ვადა საბოლოოდ არ განუსაზღვრავთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავს სიტუაციაში მყოფი „ალავესის" არგენტინელი მეკარე მარტინ ერერა ფეხბურთიდან მხოლოდ ერთი თვით მოკვეთეს, მაშინ კეიტსა და ბარტელტის სასჯელიც, ალბათ, ხანმოკლე უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ პასპორტის გაყალბებისთვის ივნისში „ლას პალმასის" ორი ბრაზილიელი — ალვარო და ბაიანო ექვსი თვით მოკვეთა. ხოლო „ტენერიფეს" ასევე ბრაზილიელ ფორვარდს, ბარატას ცრუ იტალიელობისთვის ფეხბურთისგან თორმეტთვიანი იძულებითი დასვენება აქვს მისჯილი. გარდა ამისა, ესპანეთის ფეხბურთის მესვეურნი ქვეყნის მეორე დივიზიონში მობურთალი, თაღლითობაში ეჭვმიტანილი სამი ლეგიონერის საქმესაც იძიებენ.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# ფიფამ აფრიკაში მსოფლიო წესრიგი დაამყარა

**მსოფლიოს** 2002 წლის ჩემპიონატის აფრიკის ზონის შესარჩევ C ჯგუფში ორი მატჩი, ალჟირი — ეგვიპტე და ნამიბია — სენეგალი, 28-ის ნაცვლად 21 ივლისს გაიმართება, თანაც ორივე ერთსა და იმავე დროს დაიწყება.

ფიფამ ეს გადაწყვეტილება ამ ჯგუფში შექმნილი სატურნირო მდგომარეობის გამო მიიღო. შეგახსენებთ, რომ ამჟამად ცხრილის სათავეში მყოფმა მაროკოელებმა შესარჩევი ეტაპი 15 ქულით ჩაამთავრეს. 12-ქულიან ეგვიპტეს და სენეგალს, რომელთაც თითო თამაში აქვთ ჩასატარებელი, გაისად მსოფლიოს მთავარ საფეხბურთო ფორუმზე გამგზავრების შანსი გაუჩნდათ. თუ ბოლო ტურში ორივე გუნდი მოიგებს, ისინი მაროკოსთან ერთად ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ. აქ კი კორეა-იაპონიის საგზურის ბედს ბურთების უკეთესი შეფარდება გადაწყვეტს.

**გაგა ხუციშვილი**

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი**
**აფრიკა**
21 ივლისი
ალჟირი — ეგვიპტე
ნამიბია — სენეგალი





ქუთაისში

# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"

# NANDROLONE
# ფრანკ დე ბურს მსოფლიოც აუკრძალეს



ფრანკ დე ბურს (მარცხნივ) ტყუპისცალი რონალდის სისხლი თუ უშველის

**ჰოლანდიელი** მცველი ფრანკ დე ბური შაბათს ფიფამაც დასაჯა და იგი ერთი წლით ჩამოაშორა ფეხბურთს. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას" ფეხბურთელი აქამდე მხოლოდ უეფასგან იყო დისკვალიფიცირებული — 15 მარტს ჩაბარებული დოპინგ-ტესტის შემდეგ სისხლში აკრძალული პრეპარატის, ნანდროლონის' შემცველობა აღმოაჩნდა.

უეფასგან შერისხულ დე ბურს ევროთასებზე და ესპანეთის ჩემპიონატში თამაშის უფლება ჩამორთვეს. ფიფას სანქციის შემდეგ კი იგი ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ მატჩებშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას. 1 სექტემბერს ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ირლანდიას უნდა შეხვდეს. ბარსელონელი კი „ნარინჯისფერებს" ველარაფრით დაეხმარება.

ფრანკ დე ბურს თავის მართლების ბოლო შესაძლებლობა 26 ივლისს მიეცემა. სწორედ ამ დღესაა დანიშნული სააპელაციო კომისიის სხდომა. არსებობს სასჯელისგან გათავისუფლების მცირედი შანსი და ფრანკიც ალბათ, სწორედ ამ ხავსს მოეჭიდება. მან, შესაძლოა, ფიფაში ტყუპისცალ რონალდის ანალიზები წარადგინოს, რათა დაამტკიცოს, რომ ორგანიზმში ბუნებრივად აქვს ნანდროლინის ის შემცველობა, რაც დაუდგინეს და თუ მართლაც ასეა, მისი ძმის ანალიზიც იგივეს აჩვენებს.

ადამიანის სისხლში მართლაც არის ნანდროლინი — ლიტრაში დაახლოებით მილიგრამი. ფიფა მაშინაც ხუჭავს თვალს, თუ რომელიმე მოთამაშეს სისხლში ამ პრეპარატს ორ მილიგრამამდე აღმოაჩენს. მაგრამ ფრანკის საქმეს ის ართულებს, რომ 15 მარტის ტესტის შემდეგ მისი სისხლი (ერთი ლიტრი) 8 გრამ მასტიმულირებელ ნივთიერებას შეიცავდა.

შეგახსენებთ, რომ დოპინგის მოხმარებაშია მხილებულია კიდევ ერთი ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი, რომლის საქმესაც ფიფა ჯერჯერობით იხილავს და, ალბათ, მალე საბოლოო განაჩენსაც გამოიტანს. წინასწარი ვარაუდით, მისი სასჯელიც მკაცრი იქნება.

**ნიკა შუბლაძე**



მაიკლ ოუენსა და ლივერპულელებს
სინგაპურელი ქალებიც თვალებში შესციცინებენ

# სინგაპურულ ენფილდზე

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| სინგაპურ XI (სინგაპური) | 0 |
| ლივერპული (ინგლისი) | 2 |

0:1 ჰესკი (41), 0:2 ოუენი (87)

**„ხალხი** ისე გვქომაგობდა, თავი მშობლიურ „ენფილდზე" ვიგრძენით. დიდი მადლობა ჩვენს აქაურ გულშემატკივრებს. საკუთარი გუნდით კი არცთუ კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით საგოლე მომენტების გამოუყენებლობამ გამაკვირვა" — თქვა ჟერარ ულიემ, რომლის „ლივერპულმაც" აზიური ტურნეს პირველ მატჩში სინგაპურის ლიგის ნაკრებს 2:0 მოუგო.

ისევე, როგორც სეზონის პირველ საწვრთნელ შეხვედრაში ლევერკუზენის „ბაიერთან", უეფას თასის მფლობელთა ფრანგმა თავკაცმა ამჯერადაც 22 ფეხბურთელი გამოსცადა — თითო გუნდი თითო ტაიმში. შედეგიც ორივე შემადგენლობამ ანალოგიური მოიმკო: პირველი ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე თავი ემილ ჰესკიმ გამოიჩინა, მატჩის მიწურულს, 87-ე წუთზე კი თავისი შანსი მაიკლ ოუენმაც გამოიყენა, როცა მასპინძელთა მეკარის მოგერიებულ ბურთს ახლოდან დაამატა. მანამდე ლივერპულელ ვარსკვლავთბიჭუნას არაერთხელ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ არ გაუმართლა. „ძნელია ამხელა მანძილზე ჩამოსვლა და მეორე დღესვე თამაში, თუმცა აქ ისეთი ქომაგები გვყოლია, ჩვენი სტუმრობა მათთვის ალალია" — აღიარა ინგლისელთა კაპიტანმა ჯეიმი რედნაპმა.

„ლივერპულის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: არპეშალი, ენჩოსი, ტრაორე, რაიტი, კარაგერი, რედნაპი, ჰამანი, ბარმბი, დიომედი, ჰესკი, ფაულერი. მეორე ტაიმში კი, როგორც მოგახსენეთ, ულიემ ახალი გუნდი ათამაშა: ვესტერფელდი, ბაბელი, ჰიიპია, რიისე, ნილსენი, ბისკანი, მერფი, მაკალისტერი, ბერგერი, შმიცერი, ოუენი.

როგორც ნახეთ, ინგლისელებს აზიაში არ ახლავთ გერმანელი კრისტიან ციგე, რომელიც ახლა ლონდონშია და „ტოტენჰემში" გადასვლის საბოლოო დეტალებს აზუსტებს.

შემდეგ მატჩს „ლივერპული" ხვალ ბანგკოკში ტაილანდის ეროვნულ გუნდთან გამართავს.

**ბიგა ძოგახიძე**

# კიოპკე კარიდან გავიდა და აღარ დაბრუნდება



**გერმანიის** ეროვნული ნაკრებისა და „ნიურნბერგის" აწ უკვე ყოფილმა მეკარე ანდრეას კიოპკემ საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ბოლო, გამოსამშვიდობებელ მატჩში მისი გუნდი ოცნების ნაკრებს დაუპირისპირდა, რომლის შემადგენლობაშიც კიოპკეს მეგობრები თამაშობდნენ: კრისტიან ციგე, თომას ჰელმერი, თომას შტრუნცი, წარსულის ვარსკვლავები — იურგენ კლინსმანი და რუდი ფიოლერი. შეხვედრა ოცნების გუნდმა მოიგო — 3:2. 39 წლის მეკარის ბუნდესლიგური დებიუტი 1986 წელს „ნიურნბერგში" შედგა, შემდეგ იგი „აინტრახტში", „ჰერტასა" და „მარსელში" თამაშობდა, მცირე ხანს „ბარსელონას" კარის დარაჯიც იყო, ვიდრე კატალონიელებმა პორტუგალიელი ვიტორ ბაია არ გადაიბირეს. 1998 წელს კიოპკე „ნიურნბერგს" დაუბრუნდა, ორი წელი მეორე ბუნდესლიგაში იბურთავა და წლეულს კვლავ უძლიერესთა შორის აღზევდა. ამით თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა და ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა.

ეროვნულ ნაკრებში კიოპკე 1993 წელს მიიწვიეს, იმავე წელს იგი გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. 1996 წელს ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გახდა. კიოპკეს თბილისში, „ეროვნულზეც" უთამაშია. ეს 1995 წლის 27 მარტს მოხდა, როცა საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში გერმანიას უმასპინძლა. შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა — 2:0. სულ კიოპკეს ნაკრებში 59, ბუნდესლიგაში კი 346 თამაში დაუგროვდა.

გამოსამშვიდობებელი მატჩის შემდეგ კიოპკემ განაცხადა, რომ მისთვის ძნელი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ სჯერა, რომ სწორად მოიქცა და მადლობა გადაუხადა ყველას. ყოფილი მეკარე „ნიურნბერგში" ერთ-ერთი მწვრთნელის მოვალეობას შეასრულებს.

**ლუკა გეგეჭკორი**

# მთავარია იუვენტალიტეტი
## თავის მართლება ტურინულად

**„იუვენტუსის"** გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ პრესკონფერენცია გამართა და სენსაციური რამ განაცხადა — წლეულს „რომას", შარშან კი „ლაციოს" ჩემპიონობა ჩაწყობილი იყოო.

„ჩვენ სკუდეტოსთვის ვიბრძოდით და მიზნის მიღწევაში ხელი ფეხბურთთან სრულიად დაუკავშირებელმა ამბებმა შეგვიშალა. დიახ, ჭეშმარიტ მიზეზებზე ხმამაღლა არასდროს არავის უთქვამს. არადა, ძლიერი გუნდის შესაქმნელად და ობიექტურ პირობებში გამარჯვების მოსაპოვებლად ჩვენ ერთი წუთით არ დაგვნანებია ფული" — განაცხადა მოჯიმ, მაგრამ ასეთი, ერთი შეხედვით ხმამაღალი განცხადება, ბევრმა გულშემატკივართა წინაშე თავის მართლებად მიიჩნია.

მაშ, რატომ გაანთავისუფლეს თანამდებობიდან მწვრთნელი კარლო ანჩელოტი? — ისმის ლოგიკური კითხვა. ამაზე გენერალურმა მენეჯერმა უპასუხა:

„ანჩელოტიმ ჩვენი გუნდისთვის მართლაც ბევრი გააკეთა, მაგრამ „იუვენტუსს" ახალი სტიმული და ახალი სისხლი სჭირდება. გიმეორებთ, იტალიაში ბოლო ორ სეზონს ფეხბურთთან არაფერი ჰქონდა საერთო".

ზიდანის მადრიდის „რეალში" გაყიდვაზე მოჯიმ თქვა: „ეს მისი გადაწყვეტილება იყო, ჩვენ კი ნედვედი და ტურამი ვიყიდეთ".

შემდეგ საუბარი „ინტერისგან" კრისტიან ვიერის ყიდვას გადასწვდა. პასუხი ასეთი გახლდათ:

„ვიერი ტრეზეგეში უნდა გაგვეცვალა, ჩვენ კი დავიდს ვენდობით და გვინდა, რომ დარჩეს. ჩვენი თავდასხმის ძალას ის, დელ პიერო, კოვაჩევიჩი და ამორუზო წარმოადგენენ".

„იუვენტუსის" ძველ-ახალმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ მოჯის „ახალი სისხლის" ამბავში დაუჭირა მხარი. მან ბრძანა:

„ყოველთვის ასე ვაკეთებდით, ძველ ფეხბურთელებს ვყიდდით და იმავე დონის ახლებს ვყიდულობდით. ახლა, ორივე ფრთას უფრო ეფექტურად გამოვიყენებთ, თუმცა ყველაფერზე მთავარი „იუვენტუსის" მრავალი წლის წინ ჩამოყალიბებული მენტალიტეტის შენარჩუნებაა. ეს მენტალიტეტი ჩვენი მთავარი იარაღია".

**ბაკურა ძიძია**



ახალი იუვენტუსელები: ჯანლუიჯი ბუფონი, პაველ ნედვედი, მარჩელო ლიპი, კრისტიან ძენონი და ლილიან ტურამი




ლუჩანო მოჯი


**იყიდება**

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი, მე-19-ე კორპუსი, ბირველი სართული.

**ფასი შეთანხმებით**

ტელ:. 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83



**24 საათის ინფორმაცია განმავლობაში**

**ფეხბურთი, NHL, NBA**

☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# ფუკუოკაში იწყებენ





ცოტაც და იაპონურ ფუკუოკაში მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი გახურდება სპორტის საწყლოსნო სახეობებში. გახურდება-მეთქი იმიტომ ვამბობთ, რომ აუზს ჯერჯერობით მხოლოდ სინქრონულად მოცურავენი ჩაუღრმავდნენ საშეჯიბროდ და დახეთ, როგორ უცვალა იერი მოხდენილ იაპონელ გოგონებს წყალმა? წყალში ცეკვა ხომ მსხვერპლს მოითხოვს... დანარჩენები კი ჯერჯერობით ვარჯიშით დაკავებულან: ჰოლანდიელი ოლიმპიური ჩემპიონები პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი (მარცხნივ) და ინგე დე ბრუინი „მარინ მესის“ აუზის წყალს ეჩვევიან, არანაკლები ოლიმპიური ჩემპიონები, ავსტრალიელი დელფინები გრანტ ჰეკეტი (მარცხნივ) და იან ტორპი კი კუნთების გამაღვიძებელ ვარჯიშს შედგომიან.



REUTERS ფუკუოკადან

# ვი-როდი

ამი წელიწადია „ჰარლი დევიდსონს“ ახალი მოტოციკლეტი არ გამოუშვია. და ჰა, ახალი მოდელი, „ვი-როდი“, რომლის წარდგნაც ლოს ანჯელესში შედგა. კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი ვილი ჯი დევიდსონი „ვი-როდზე“ ამხედრებულა და ენერგიულად ჰყვება ახალი მოდელის თაობაზე...



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ლომთა მარცხის დროს

აჰა, გასრულდა ბრიტანელი ლომების სარაგბო ომი ავსტრალიაში. მსოფლიოს ჩემპიონმა ოზებმა მაინც თავისი გაიტანეს და სამტესტა შებმაში ორჯერ მოუგეს ბრიტებს. მესამე ტესტი სიდნეიში იყო და ავსტრალიამ 29:23 იმარჯვა. რაგბი ფიცხელი იყო და ვოლაბი ჯასტინ ჰარისონი და ლომთა კაპიტანი მარტინ ჯონსონი ძლივს გამოძიძგნეს ერთმანეთს. მსაჯ პედი ობრაიენს (იხილეთ სასტვენიანი ხელი) გვარიანი ოფლი გადასკდა.



REUTERS სიდნეიდან

# ძაღლების თანხლებით



REUTERS სიდნეიდან

ავსტრალიელ ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები მოახლოებულ უქმეებზე შვეიცარიის ნაკრებს უნდა ეთამაშოს ფედერაციის თასის მეორე წრეში. ალისა მოლიკი, რეიჩელ მაკქვილანი, კაპიტანი ლესლი ბოური, ევი დომინიკოვიჩი და ნიკოლ პრატი სიდნეის გოლფ კლუბში ემზადებიან ამ შეჯიბრისთვის და გუშინ პრესკონფერენციაც გამართეს ორი კეთილი სენბერნარული ნაგაზის თანხლებით. ძაღლებს არ დაუყეფიათ და გოგოებმაც იოლად გააგებინეს სათქმელი ჟურნალისტებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია აზალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

# ევროპული ტრანსფერები

## ესპანეთი

***ალავესი:*** ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); **ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი), კარლოს ლორენსი (ატლეტიკო).**

***ბილბაო:*** იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); **აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).**

***ბარსელონა:*** ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია); **ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).**

***სელტა:*** პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); **ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი).**

***დეპორტივო:*** ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი); **ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პირი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა).**

***ესპანიოლი:*** კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კოსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი); **ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი), ხუან ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული, მექსიკა).**

***ლას პალმასი:*** ამადორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი); **ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).**

***მალაგა:*** მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია); **ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავულე კუაჲ არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია).**

***მალიორკა:*** ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); **ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).**

***ოსასუნა:*** კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); **ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლეგანესი), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (საბადელი), აილტონი (ვერდერი, გერმანია), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა).**

***რაიო ვალეკანო:*** გუსტავო ბარტელტი (რომა), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (ვილიარეალი); **ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).**

***რეალი:*** მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა); **ფერნანდო (ვალიადოლიდი), როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).**

***სოსიედადი:*** ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); **ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია).**

***სევილია:*** ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); **ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).**

***ტენერიფე:*** მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი); **ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია).**

***ვალენსია:*** ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა); **კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა).**

***ვალიადოლიდი:*** ალბერტო, რაული, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), ფერნანდო (რეალი), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); **გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე).**

***ვილიარეალი:*** **ორიოლ ლოსანო (ლეიდა), კოსტელ გალკა (ესპანიოლი), კიკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (რაიო ვალეკანო).**

***სარაგოსა:*** სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია); **ესკერდინია (პორტუ პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია).**

## გერმანია

***მიუნხენ 1860:*** თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი), ნექათ აიგიუნი (ბეშიქთაში, თურქეთი); **მიხაელ ვიზინგერი (ბაიერნი), დიდიე დეედენი (ანდერლეხტი, ბელგია), მარკუს ვაისენბერგერი (არმინია), საშა როსლერი (ულმი), სამუელ იპუა (მაინცი), ვიდარ რისეტი (სელტიკი, შოტლანდია).**

***ვერდერი:*** კლაუდიო პიზარო (ბაიერნი), ბერნარდ ტრარესი (ვალდჰოფი), იური მაქსიმოვი (ვალდჰოფი), დიტერ ფრაი (ნიურნბერგი), ვიქტორ სკრიპნიკი (ცილი), შტეფან ბრაზასი (ცილი), დირკ ფლოკი (არმინია), ლარს შმედესი (კარლსრუე), დონგ-გონკ ლი (პოჰანგ სტელერსი, ჩინეთი), აილტონი (ოსასუნა, ესპანეთი); **იაკუბ ვიერჩოვსკი (რუხი, პოლონეთი), ივან კლასნიჩი (ზანქტ პაული), შტეფან ბლანკი (შტუტგარტი), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი), საიმონ როლფესი (მოყვ.), ჰოლგერ ველაგე (ზანქტ პაული), რობერტო სილვა (სპორტინგ კრისტალი, პერუ).**

***კოტბუსი:*** საბინ ილიე (ცილი), შტეფან ჰაიდრიხი (დინამო, დრეზდენი), თომას ნოიბარტი (დინამო, დრეზდენი), ჯონი რიოდლუნდი (?, ჩინეთი), თომას კოლერი (თამაში მიატოვა), კევინ მაკკენა (ჰართსი, შოტლანდია), ცანკო ცვეტანოვი (ცილი), მოჰამედ ლაკუილი (რაჯა კასაბლანკა, მაროკო); **სერჟიო ლეანდრო „ბრაზილია“ (პოგონი, პოლონეთი), რადოსლავ კალუჟნი (ვისლა, პოლონეთი), ლარს იუნგნიკელი (დინამო, დრეზდენი), ოტო ვინცე (ვალდჰოფი), ანდრე ლენცი (ალემანია), სილვიო შრიოტერი (დინამო, დრეზდენი), ვრაჟელ და სილვა (ულმი), მარკო ტოპიჩი (მილანი, იტალია), მამიდ ტერმინა (რაჯა კასაბლანკა, მაროკო).**

***დორტმუნდი:*** კრისტიან ნერლინგერი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალფრედ ნოიჰაუსი (ცილი), ვოლფგანგ დე ბეერი (თამაში მიატოვა); **მარსიო ამოროზო (პარმა, იტალია), იან კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), აჰმედ მადუნი (მონპელიე, საფრანგეთი), ფლორიან კინგე (მოყვ.).**

***ბაიერნი:*** მიხაელ ვიზინგერი (მიუნხენ 1860), ბერქანტ გიოქთანი (გალათასარაი, თურქეთი), პატრიკ ანდერსონი (ბარსელონა, ესპანეთი); **კლაუდიო პიზარო (ვერდერი), პაბლო ტიამი (შტუტგარტი), რობერტ კოვაჩი (ლევერკუზენი), ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი).**

***ფრაიბურგი:*** მარკო ვაისჰაუპტი (ჰანზა), ზუბეირ ბაია (ბეშიქთაში, თურქეთი), რალფ კოლი (თამაში მიატოვა), ბიორნ დრაიერი (შტუტგარტ კიკერსი); **ფაბიან გერბერი (ზანქტ პაული), ზაზა ზამთარაძე (ვინტერტური, შვეიცარია), იან მიონერი (მოყვ.), ბენჟამინ შვეპერი (მოყვ.).**

***ჰამბურგი:*** ჰანს იორგ ბუტი (ლევერკუზენი), ნიკო კოვაჩი (ბაიერნი), ვაჰიდ ჰაშემიანი (ბოხუმი), სონერ იუსალი (ვალდჰოფი), ანდრეას ფიშერი (როტ ვაისი), თომას დოლი (თამაში მიატოვა), კარსტენ ბერონი (თამაში მიატოვა), იაცეკ დემბინსკი (ვიძევი, პოლონეთი), იოხენ კინცი (ცილი), მარინუს ბესტერი (თამაში მიატოვა); **მარტინ პიკენჰაგენი (ჰანზა), იორგ ალბერტცი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), მარსელ მალტრიცი (ვოლფსბურგი), შტეფან ვახტერი (იურდინგენი), მოჰამედ ჰადი მაჰდავიკია (ფირუზი, ირანი), რონალდ მაული (ჰანზა).**

***ჰერტა:*** სიქსტენ ვაიტი (ბეშიქთაში, თურქეთი), კაი მიხალკე (ნიურნბერგი), რუი მანუელ მარკეში (შტუტგარტი), ენტონი სანე (ნიურნბერგი), ბენჟამინ კოლერი (დუისბურგი), ბრაიან როი (ცილი), დარიუს ვოში (ბოხუმი); **ანდრეას ნოინდორფი (ლევერკუზენი), დენის ლაპაჩინსკი (როიტლინგენი), მარსელინიო პარაიბა (გრემიო, ბრაზილია), ბარტ გოორი (ანდერლეხტი, ბელგია), რობერტო პინტუ (შტუტგარტი), ნდერიმ ნეჯიპი (სლოგა იუგომაგნატი, მაკედონია), ტორბენ მარქსი (მოყვ.).**

***კაიზერსლაუტერნი:*** სლობოდან კომლიენოვიჩი (ცილი), აქსელ როოსი (თამაში მიატოვა), უვე გოსპოდარეკი (ცილი), მარკო შტარკი (ზაარბრიუკენი), მარკო რაიხი (კიოლნი), მიქაელ შონბერგი (თამაში მიატოვა); **მიკაელ მიფსუდი (სლიმა უონდერერზი, მალტა), ალექსანდრ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), მარკუს კულინგი (ლიუბეკი), თომას ჰენგენი (ვოლფსბურგი), ტორსტენ როიტერი (მოყვ.), დარკო ბოშკოვიჩი (მოყვ.), თომას რიდლი (მიუნხენ 1860).**

***კიოლნი:*** კლაუს-დიტერ ვოლიცი (თამაში მიატოვა), მარკუს დვორაკი (ფიურტი), მარსელ გებჰარდტი (ცილი), რალფ ჰაუპტმანი (ქემნიცი); **იორგ რეები (ლევერკუზენი), ჰანო ბალიტჩი (ვალდჰოფი), მარკო რაიხი (კაიზერსლაუტერნი).**

***ლევერკუზენი:*** ანდრეას ნოინდორფი (ჰერტა), პასკალ ცუბერბიულერი (არაუ, შვეიცარია), იორგ რეები (კიოლნი), რობერტ კოვაჩი (ბაიერნი), ადამ მატიშეკი (ცილი), რობსონ პონტე (ვოლფსბურგი), ანდრეას ვოსი (დუისბურგი); **ჰანს იორგ ბუტი (ჰამბურგი), მიხაელ ცეპეკი (კარლსრუე), ზოლტან სებესკენი (ვოლფსბურგი), ემანუელ პოგატეცი (კარნტენი, ავსტრია), მილე ბოჟიჩი (მოყვ.), თომას კლაინი (მოყვ.).**

***მიონხენგლადბახი:*** მატეას ჰაგნერი (ფიურტი), მარკუს რაიტერი (ფიურტი), ჟელკო სოპიჩი (ალენი); **მარჩინ მიკელი (ლეგია, პოლონეთი), დანიელ ფელგენაუერი (ფიურტი), მარკუს მიუნხი (ბეშიქთაში, თურქეთი), ივო ულიხი (სლავია, ჩეხეთი), პერ კლუგე (ქემნიცი), მარკო კუნცელი (ბაბელსბერგი).**

***ნიურნბერგი:*** ანდრეას კიოპკე (თამაში მიატოვა), იოხენ ვაიგლი (როიტლინგენი), მარკო კრისტი (ულმი), დომიჩო ბელიაკოვი (ობერჰაუზენი); **დიტერ ფრაი (ვერდერი), ენტონი სანე (ჰერტა), კაი მიხალკე (ჰერტა), მარკო ვილა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), რაფაელ შაფერი (ლიუბეკი), თომას შტელე (პფულენდორფი), ლარს მიულერი (ალემანია).**

***ჰანზა:*** მარტინ პიკენჰაგენი (ჰამბურგი), ვიქტორ აგალი (შალკე), მატიას ბრაიტკროიცი (ზაარბრიუკენი), მარკო ცალმანი (ლიუბეკი), სლავომირ მაიაკი (ცილი), ჰენრი ფუხსი (ცილი), რენე შნაიდერი (ცილი); **მატიას შიობერი (შალკე), რონალდ მაული (ჰამბურგი), დელანო ჰილი (ტილბურგი, ჰოლანდია), მარკო ვაისჰაუპტი (ფრაიბურგი), ბაშირუ სალუ (აინტრახტი, ფრანკფურტი).**

***შალკე:*** რადოსლავ ლატალი (სიგმა, ჩეხეთი), მატიას შიობერი (ჰანზა), უნალ ალპუგანი (რიზესფორი, თურქეთი), ალი გიოლი (პადერბორნი), ოლივერ ჰელდი (ზანქტ პაული), ტორსტენ ლეგატი (თამაში მიატოვა), იოჰან დე კოკი (თამაში მიატოვა); **მარკ ვილმოტსი (ბორდო, საფრანგეთი), სვენ ვერმანტი (ბრიუგე, ბელგია), ვიქტორ აგალი (ჰანზა), კრისტიან ჯორჯევიჩი (შტუტგარტი), მარსელ როზგონი (მაგდებურგი), კრისტოფერ ჰაიმეროტი (მოყვ.), ფილიპ ტროიანი (მოყვ.), სამუელ მატელანი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა).**

***ზანქტ პაული:*** ჰოლგერ ველაგე (ვერდერი), ივან კლასნიჩი (ვერდერი), ჰაინც ვებერი (ტიროლი, ავსტრია), მარკუს ალფი (ქემნიცი), პეტერ სტაჩეკი (ნორდერსტედტი), ფრანკ დრიოგე (ნორდერსტედტი), მარეკ ტრეიდისი (ცილი), ფაბიან ბერგერი (ფრაიბურგი); **უგურ ინჩემანი (ალემანია), მუდახირუ ამადუ (ჰანოვერი); ტიჰომირ ბუნაკი (შიბენიკი, ხორვატია), ადამუ იაკუბუ (ვატენშაიდი), კატალინ რაკანე (აინტრახტი, ტრირი), ოლივერ ჰელდი (შალკე), კორი გიბსი (მაიამი, აშშ).**

***შტუტგარტი:*** პაბლო ტიამი (ბაიერნი), რობერტო პინტუ (ჰერტა), შტეფან ბლანკი (ვერდერი), კრისტიან ლისტეში (ვერდერი), რუდიგერ კაუფი (არმინია), კრისტიან ჯორჯევიჩი (შალკე), ჯუზეპე კატიცონე (ზაარბრიუკენი); **რუი მანუელ მარკეში (ჰერტა), რობერტ ვუიჩევიჩი (მოყვ.), ფაბიო მორენა (მოყვ.).**

***ვოლფსბურგი:*** მარტინ ვაგნერი (თამაში მიატოვა), მარსელ მალტრიცი (ჰამბურგი), ზოლტან სებესკენი (ლევერკუზენი), ანდრიას ვოსი (დუისბურგი), თომას ჰენგენი (კაიზერსლაუტერნი), ჰოლგერ ჰაიმანი (ქემნიცი), ჟან კასონგო ბანზა (?, კონგო), მაიკ ბუში (ბოხუმი), ვიტუს ნაგორნი (კარლსრუე), ჯონათან აკპობორი (ბაზელი, შვეიცარია); **რობსონ პონტე (ლევერკუზენი), ტობიას რაუ (აინტრახტი, ბრაუნშვაიგი), მიქაელ მადსენი (ბარი, იტალია), მარტინ პეტროვი (სერვეტი, შვეიცარია), ჟერნო პლასნეგერი (ზაარბრიუკენი), სეად რამოვიჩი (შტუტგარტ კიკერსი), ჰანს შარპეი (დუისბურგი), უჩე იგვე (ჰალსი), მიროსლავ კარჰანი (ბეშიქთაში, თურქეთი), მაიკ ფრანცი (მაგდებურგი).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

***არსენალი:*** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

***ასტონ ვილა:*** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია).**

***ბლექბერნი:*** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

***ბოლტონი:*** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკი საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

***ჩარლტონი:*** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი).**

***ჩელსი:*** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი).**

***ევერტონი:*** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

***დერბი ქაუნთი:*** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

***ფულემი:*** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალამ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), კიკო ნარვაესი (ატლეტიკო, ესპანეთი),**

***იფსვიჩი:*** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).**

***ლიდსი:*** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

***ლესტერი:*** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

***ლივერპული:*** იან არმსტრონგი (პორტველი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი).**

***მიდლსბრო:*** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **შილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი).**

***მანჩესტერ იუნაიტედი:*** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტველი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია).**

***ნიუკასლი:*** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი).**

***საუთჰემპტონი:*** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

***სანდერლენდი:*** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელონი (კანი, საფრანგეთი).**

***ტოტენჰემი:*** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), იან უოქერი (ტოტენჰემი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული).**

***ვესტ ჰემი:*** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

***ატალანტა:*** ივან პელიცოლი (რომა), მასიმო დონატი (მილანი), კრისტიან ძენონი (მილანი), დომენიკო მორფეო (ფიორენტინა), სტეფანო გალო (ტერნანა), მარკო ნაპი (ტერნანა), ნიკოლა ვენტოლა (ინტერი), ნილ სივილია (რომა), მაურიციო განცი (თამაში მიატოვა); **ლუკა საუდატი (მილანი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ჯანი კომანდინი (მილანი), ლუიჯი სალა (მილანი), მასიმო ტაიბი (რეჯინა), ალესანდრო რინალდი (რომა), ფაბიანო (ბაია, ბრაზილია), კორადო კოლომბო (ინტერი), პიეტრო ფოლიო (ვენეცია), უსმან დაბო (მონაკო, საფრანგეთი), ანტონიო კალდერონი (მონცა), ლუკა ძინი (პისტოიეზე), დავიდე ნატალი (მონცა).**

***ბოლონია:*** ფრანსისკო ლიმა (რომა), ჯონათან ბინოტო (ინტერი), ენცო მარესკა (იუვენტუსი), მარკო როკატი (ნაპოლი), სტეფანო ბია (სენტ ეტიენი, საფრანგეთი); **ფაბიო მაჩელარი (ინტერი), ანტონიო ბელუჩი (ნაპოლი), სტეფანო გორეტი (პერუჯა), პიერპაოლო ძაკარდო (სპეცია), ნიკოლა კოპოლა (ნაპოლი), მატეო ბრიგი (იუვენტუსი), მარკო როკატი (დანდი, შოტლანდია).**

***ბრეშა:*** მასიმილიანო კაპუტო (ლივინგსტონი, შოტლანდია), სტეფანო ბიზოლი (პისტოიეზე), ფილიპო გალი (თამაში მიატოვა), ანტონიო მარინო (თამაში მიატოვა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ანდრეა პირლო (ინტერი), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), დარიო უბნერი (პიაჩენცა); ანტონიო პიზანო (ასკოლი), აურელიო (კოზენცა); **მელვინ ბრაუნი (დერტონა, ავსტრალია), ფრანკო კარაჩიოლო (პრო ვერჩელი), ხორხე სალგადო (დეპორტივო უაჩიპატო, მექსიკა), ნიკოლა გრანდე (ფროზინონე), კარლო მერო (ტერნანა), დავორ იავორჩიჩი (კროტონე), ჯუზეპე ტინონზინი (კოდონო), მარკო ბრონოლი (სან ანჯელო), დარიო დაინელი (ლეჩე), მარკუს შოპი (შტურმი, ავსტრია), ლუკა ტონი (ვიჩენცა), ფედერიკო ჯუნტი (მილანი).**

***კიევო:*** სტეფანო კარბონე (პისტოიეზე), კრისტიანო გარძონი (პავია), ჯუზეპე მარკონი (ტერნანა), დავიდე ფრანჩესკინი (რეჯინა), პიეტრო მარკონი (ტერნანა), გაუჩო ბალდი (პესკარა), კარლო ფრეცოლინი (ლეჩე), ნიკოლა ჩიოპრიზი (ლოდიჯანი); **მარკო ძანკეტა (რეჯინა), სტეფანო მარაცინა (რეჯინა), კრისტიანო ლუპატელი (რომა), პიერო რეგროტალიე (მოდენა), კრისტიანო კავალი (კარარეზე), ანჯელო ბრუნო (ნაპოლი), ფრანკო როსი (ფაზანო), სიმონე პეროტა (იუვენტუსი), ალენ დელონი (ბაია, ბრაზილია).**

***ფიორენტინა:*** მაურო ბრესანი (ვენეცია), სალიუ ლასისი (პარმა), დანიელე ბონორა (პისტოიეზე), მანუელ რუი კოშტა (მილანი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი), ენცო ტავანო (ემპოლი); ლუიჯი აგოსტინი (ტერნანა), ენცო ტავანო (რონდინელა); **რობერტო კასანო (ვოგერა), ეზეკელ გონსალესი (როსარიო სენტრალი, არგენტინა), არის ვაკუფცისი (რავენა), დომენიკო მორფეო (ატალანტა), ლუიჯი ბენინი (ტერნანა).**

***ინტერი:*** ფაბიო მაჩელარი (ბოლონია), ჯანლუკა ლიძორი (ტერნანა), კორადო კოლომბო (ატალანტა), სტეფანო ფისორე (ტორინო), ადრიან მუტუ (ვერონა), სებასტიან ფრეი (პარმა), ანდრეა პირლო (მილანი), მატეო ფერარი (პარმა), მარკო ფერანტე (ტორინო), ბრუნო ჩირილო (ლეჩე); **კორადო კოლომბო (ტორინო), ემრე ბელოზოღლუ (გალათასარაი, თურქეთი), სტეფანო ფისორე (ლეჩე), სალვატორე ფრეზი (ნაპოლი), სტეფანო ლომბარდი (პერუჯა), კრისტიანო მენეზესი (ნაციონალი, ურუგვაი), ოკან ბურუკი (გალათასარაი, თურქეთი), სიქსტო პერალტა (ტორინო), მარტინ რივასი (მალაგა, ესპანეთი), ანსელმო რობიატი (ფიორენტინა), ნიკოლა ვენტოლა (ატალანტა), ნელსონ ვივასი (არსენალი, ინგლისი), ალბერტო ფონტანა (ნაპოლი), კრისტიანო ძანეტი (რომა), ჯონათან ბინოტო (ბოლონია), მოჰამედ კალონი (ვიჩენცა), მარკო მატერაცი (პერუჯა), დიეგო კანეირა (რეჯინა), სერჟიუ კონსეისაუ (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა), ნიკოლა ფრაუ (რომა).**

***იუვენტუსი:*** რაფაელე ამეტრანო (ნაპოლი), მატეო ბრიგი (ბოლონია), ფილიპო ინძაგი (მილანი), სიმონე პეროტა (კიევო), ჯონათან ბაკინი (პარმა), მარკო ძანკი (პერუჯა), ფაბიო პეკია (ნაპოლი), ზინედინ ზიდანი (რეალი, ესპანეთი), ხუან ესნაიდერი (ტენერიფე, ესპანეთი); **ლილიან ტურამი (პარმა), მარკო ძანკი (ვიჩენცა), რაფაელე ამეტრანო (კროტონე), ჯონათან ბაკინი (ბრეშა), ენცო მარესკა (ბოლონია), ფაბიო პეკია (ნაპოლი), სიმონე პეროტა (ბარი), ნიკოლა ამორუზო (ნაპოლი), პაოლო სკული (კროტონე), მასიმილიანო ვიერი (ანკონა), კრისტიან ძენონი (მილანი), ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), პაველ ნედვედი (ლაციო), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), დავიდე ბაიოკო (პერუჯა), იაროსლავ სედივეცი (პლზენი, ჩეხეთი), ხუან ესნაიდერი (სარაგოსა, ესპანეთი).**

***ლაციო:*** სტეფანო დომიცი (მილანი), ხუან სებასტიან ვერონი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), ფაბრიციო რავანელი (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **სეზარ როდრიგესი (სან კაეტანო, ბრაზილია), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ანდრეა კომაცი (მილანი), ივან დე ლა პენია (ბარსელონა, ესპანეთი), მატიას ალმეიდა (პარმა).**

***ლეჩე:*** დარიო დაინელი (ბრეშა), სტეფანო ფისორე (ინტერი), დიეგო ლოტი (აველინო), ანტონიო კონვერნსანო (დი სანგრო), ფილიპო მანიტა (მესინა), ედუსეი (კოზენცა), ნიკოლა ვაზარი (სამპდორია), კრისტიანო ლუკარელი (ტორინო); **დიურიკ ვინკლაარი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ანსელმო ბილოტი (რავენა), კარლო ფრეცოლინი (კიევო), ბრუნო ჩირილო (ინტერი).**

***მილანი:*** ნასიმენტუ ლეონარდო (სან პაულუ, ბრაზილია), ლუიჯი სალა (ატალანტა), ჯანი კომანდინი (ატალანტა), ლუკა საუდატი (ატალანტა), პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა), მასიმო მაკარონე (ემპოლი), ანდრეა რაბიტო (მოდენა), სტეფანო დომიცი (მოდენა), ანდრეა კომაცი (ლაციო), მირკო სადოტი (პესკარა), კარლო ტეოდორანი (ვერონა), კრისტიან ძენონი (იუვენტუსი), მარკო ტოპიჩი (კოტბუსი, გერმანია), მატია გრაფიედი (ნაპოლი), ფედერიკო ჯუნტი (ბრეშა), ზვონიმირ ბობანი (ჰაიდუკი, ხორვატია), იბრაჰიმ ბა (მარსელი, საფრანგეთი); **კოზმინ კონტრა (ალავესი, ესპანეთი), ხავი მორენო (ალავესი, ესპანეთი), მასიმო დონატი (ატალანტა), კრისტიან ძენონი (ატალანტა), ფაბრიციო კოლოჩინი (სან ლორენსო, არგენტინა), სირილ დომორო (ბასტია, საფრანგეთი), ნიკოლა კორენტი (სიენა), დრაგენ ბრნჩიჩი (ვიჩენცა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა), ანდრეა პირლო (ინტერი), მასიმო მაკარონე (ემპოლი), სტეფანო დომიცი (ლაციო), მატია გრაფიედი (ჩეზენა), ლუკა დე ძერბი (სალერნიტანა), გაბრიელე ალდეგანი (მონცა), მოჰამედ ალიუ (მონცა).**

***პარმა:*** ლილიან ტურამი (იუვენტუსი), ანდრეა დიმპორძანო (უდინეზე), მატეო გუარდალბენი (პიაჩენცა), ადაილტონი (ვერონა), ანტონ სერიჩი (ვერონა), დიეგო ფუზერი (რომა), სალიუ ლასისი (რომა), რაფაელე ლონგო (რომა), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარსიო ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი), მატიას ალმეიდა (ლაციო), ნიკოლა მორა (პიაჩენცა), პაოლო პოჯი (პიაჩენცა); **ემილიანო ბონაცოლი (ვერონა), პაოლო პოჯი (რომა), მარტინ ლაურსენი (ვერონა), ჯოვანი გრიეკო (ჯენოა), სალიუ ლასისი (ფიორენტინა), ჯამპიერო მაინი (ვენეცია), ნიკოლა მორა (ტორინო), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პერუჯა), სერგეი გურენკო (რომა), ამადეო მანგონე (რომა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), სებასტიან ფრეი (ინტერი), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), მატეო ფერარი (ინტერი), მარკო მარკიონი (ემპოლი), კლაუდიო ტაფარელი (გალათასარაი, თურქეთი).**

***პერუჯა:*** მარკო მატერაცი (ინტერი), ლუკა საუდატი (მილანი), მორონე ზაპა (ემპოლი), სტეფანო გორეტი (ბოლონია), სტეფანო ლომბარდი (ინტერი), მარკო რიგალდი (ვიჩენცა), მაურო მილანეზე (პარმა), ფაბიო ლივერანი (იუვენტუსი), დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი), ფაბიან გონზაზე (გვადალახარა, მე-

***ვიჩენცა:*** ...ქსიკა), ალესანდრო პიერი (უდინეზე); **ჯონ მაური (სტანდარდი, ბელგია), შაბონე სპანი (კონექტი, ტრინიდადი და ტობაგო), სტეფანო გროსო (კიეტი), ჟაკემინი (სტანდარდი, ბელგია), ჟან გალერი (ანდერლეხტი, ბელგია), ანტონიო კინალი (ვენტელა), რობერტო დი ფრანჩესკო (ინდიპენდიენტე, არგენტინა), ანტონიო ფუზანი (ბრეშელო), მარკო ძანკი (იუვენტუსი), ანდრეა სონჩინი (ვიჯევანო), სეად მუსლიმოვიჩი (უდინეზე), სალვატორე მატრეკანო (ნოტინგემ ფორესტი, ინგლისი), ალი შემერეხი (ესტეჯლალი, ირანი).**

***პიაჩენცა:*** ფლავიო რომა (მონაკო, საფრანგეთი), პაოლო კრისტალინი (ვიჩენცა), ნიკოლა არტიკო (პესკარა), დავიდე ზიტოლო (პიზა), ფაბიო მატეასი (ვერონა); **პალმიერი (სალერნიტანა), ფაბიო მატეასი (ბრეშელო), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), მატეო გუარდალბენი (პარმა), ანტონიო ნიკოლეტი (რეჯანა), ჯუზეპე კრისტანე (რავენა), პაოლო ორლანდონი (რეჯინა), პაოლო პოჯი (პარმა), ნიკოლა მორა (ტორინო), დარო უბნერი (ბრეშა), ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (ნაპოლი).**

***რომა:*** ეუსებიო დი ფრანჩესკო (პიაჩენცა), ალესანდრო რინალდი (ატალანტა), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), პაოლო პოჯი (პარმა), ვინჩენცო დაგოსტინო (ბარი), კრისტიანო ლუპატელი (კიევო), ამადეო მანგონე (პარმა), სერგეი გურენკო (პარმა), რაფაელე ლონგო (პალერმო), ჰიდეტოში ნაკატა (რომა), ნიკოლა ფრაუ (ინტერი), აბელ ედუარდო ბალბო (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა); **ფრანსისკო ლიმა (ბოლონია), ივან პელიცოლი (ატალანტა), ანტონიო კასანო (ბარი), ნილ სივილია (ატალანტა), ივან ტომიჩი (ალავესი, ესპანეთი), პაოლო პოჯი (ბარი), დიეგო ფუზერი (პარმა), სერგეი გურენკო (სარაგოსა, ესპანეთი), სალიუ ლასისი (პარმა), რაფაელე ლონგო (პარმა), დავიდე ფრეცა (სავოია).**

***ტორინო:*** ჯიბრილ დიავარა (ბოლტონი, ინგლისი), კორადო კოლომბო (ინტერი), სიქსტო პერალტა (ინტერი), ნიკოლა მორა (პარმა), ედუარდო არტისტიკო (კროტონე), რიკარდო მასპერო (დერბი ქაუნთი, ინგლისი); **პიერლუიჯი პაოლეტი (აკილა), ანტონიო ბალძარეტი (ვარეზე), ფრანკო (პენიაროლი, ურუგვაი), ეუჯენიო სორენტინო (ვარეზე), სტეფანო ფისორე (ინტერი), მარკო ტირიბოკი (სიენა), ფაბიენ ასტა (ნაპოლი), კრისტიანო ლუკარელი (ლეჩე), დანიელე კომოტო (ვიჩენცა), ფაბიო პეკია (იუვენტუსი), მარკო ფერანტე (ინტერი), სტეფანო ტურკეტი (ანკონა).**

***უდინეზე:*** სტეფანო ფიორე (ლაციო), ჯულიანო ჯანიკედა (ლაციო), მორტენ ბისგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), სეად მუსლიმოვიჩი (პერუჯა); **ანდრეა დიმპორძანო (პარმა), ნიკოლა ელი (სალერნიტანა), მარტინ კროლდრუპი (აკადემისკი, დანია), ფაბიან მარტინესი (ტოლუკა, მექსიკა), დიკ მეერდინკი (გრააფსხაპი, ჰოლანდია), მაურისიო პინედა (ნაპოლი), ანტონიო სკარლატო (რავენა), ხუან პავონი (ატლეტიკო მორეილა, კოლუმბია), ნიკოლა ბედინი (სამპდორია), სიაბონგა ნომვეტე (კაიზერ ჩიფსი, სამხრეთ აფრიკა), ალესანდრო პიერი (პერუჯა), დიმიტრიოს ნალიცისი (პაოკ საბერძნეთი), სამუელ კაბალიერო (?, ჰონდურასი).**

***ვენეცია:*** ჯამპიერო მაინი (პარმა), ანტონიო მაზიოლო (ლუმეცანე), მარკო ლუპი (თამაში მიატოვა), პიეტრო ფოლიო (ატალანტა), სტეფანო პედონე (კომო), ანჯელო ტოფანინი (პადოვა), კლაუს იბერტსბერგერი (ტიროლი, ავსტრია); **მაურო ბრესანი (ფიორენტინა), ხუან მანულ კარერი (ალიანსე, პერუ), მირკო ცვიტანოვიჩი (ვერონა), სტეფან ბუდანი (ბელინცონა), ჯუზეპე ჯიოკინი (სავოია), ჯიმი ალჟერინო (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), სამუელ დე ფრანჩესკი (სალერნიტანა), პაოლო კულო (ასკოლი), მეტ ბიანკი (პისტოიეზე), დანიელ ანდერსონი (ბარი).**

***ვერონა:*** მარტინ ლაურსენი (პარმა), ემილიანო ბონაცოლი (პარმა), სტეფანო სერენა (ვიჩენცა), ემანუელე ფილიპინი (ბრეშა), მარკო ცანჩი (ვიჩენცა); **ანტონიო დოლიონი (კალიარი), ადაილტონი (პარმა), ადრიან მუტუ (ინტერი), ჯოვანი ალოიზი (პისტოიეზე), კარლო ტეოდორანი (მილანი), ფაბიო მატეასი (ვერონა), ჯანლუკა კოსი (ლუმეცანე), ანტონიო პოიოანი (ნიცა, საფრანგეთი).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

# დამშვიდებული ვლადიმერ სტეფანია:

## ადგილს ყოველთვის მოვძებნი და არ დავიკარგები

*„სიეტლ სუპერსონიქსთან" ერთი წლის წინანდელი განშორების მიუხედავად, სტეფანიების ოჯახი კვლავაც სიეტლში ცხოვრობს. ჩვენც სწორედ იქ დავუკავშირდით ვლადიმერს და ბოლოდროინდელი ამბები გამოვკითხეთ...*



— ჯერ ერთი კვირაც არაა, რაც ვარჯიში დავიწყე. სამწუხაროდ, მკურნალობა მოსალოდნელზე დიდხანს გამიგრძელდა და რადგან ფორმაში არ ვარ, საზაფხულო თამაშებიც მიცდება. ამ შეკრებებში მონაწილეობა თავის გამოჩენის კარგ შანსს მომცემდა, მაგრამ ჯანმრთელობის ფასი არაფერი ყოფილა, ჯობს, ბოლომდე მოვიშუშო ტრავმა, ფორმა სრულად აღვიდგინო და მერე ვიმოქმედო. სამი წელი, რაც პროფესიონალებში ვარ, ლამის ცალი ფეხით ვითამაშე. კმარა, ამდენი რისკი საჭირო აღარაა, ახლა თავს უნდა მივხედო და ჯანზე რომ ვიქნები, ყველაფერი კარგად იქნება, ყოველთვის გამომიჩნდება მსურველი.

**— ნაოპერაციევი მუხლი კიდევ გაწუხებთ?**

— ბოლო დროს აღარ. უკვე სირბილიც დავიწყე, უფრო სწორად, ძუნძული, არ მინდა, ორგანიზმი ერთბაშად დავტვირთო. ფიზიკურ მომზადებასა და გამძლეობას რომ გავიუმჯობესებ, მერე დარბაზში გადავინაცვლებ, სროლაზე, ტექნიკაზე ვიმუშავებ.

**— სავარაუდოდ, სრულად როდის აღიდგენთ სათამაშო ფორმას?**

— ვფიქრობ, ერთ თვეში ყველანაირად მზად ვიქნები.

**— დაგვიანებული ხომ არ იქნება, აგვისტოს ბოლოს ხომ, ფაქტობრივად, ყველა კლუბი დაკომპლექტებულია...**

— მეტ-ნაკლებად ასეა, ამ დროისთვის კლუბებს დასახარჯი უკვე დახარჯული აქვთ, მაგრამ გამორიცხულია, ვაკანსიები არ იყოს, სადღაც მაინც გამოჩნდება ადგილი. რას ვიზამ, სხვა გზა არც მაქვს. ჯანმრთელი და ფორმაში თუ არ ხარ, აქ შენით არავინ დაინტერესდება.

**— ნუთუ ევროპელები მაინც არ აქტიურობენ? ან იქნებ თავად არ გსურთ აქეთ წამოსვლა?**

— საერთოდ, ნბა-ში მირჩევნია თამაში, მაგრამ ევროპაში ჩამოსვლასაც არ გამოვრიცხავ. რაღაც-რაღაც მოლაპარაკებები კი მიმდინარეობს, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია და ვარაუდით ლაპარაკიც არ მიყვარს.

**— მაინც ევროპის რომელ ქვეყანაში ისურვებდით კარიერის გაგრძელებას?**

— ასე ვერ გიპასუხებთ, ისე, არის ექვსი-შვიდი ევროპული კლუბი, რომლებიც მართლაც მომწონს და ფინანსურადაც შეძლებენ ჩემი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ გუნდებისგან სერიოზული წინადადება რომ მივიღო, ალბათ, დავთანხმდები კიდეც, მაგრამ პირადად ჯერ არც ერთი დამლაპარაკებია. დავუშვათ, ფული გაქვთ და კარგი მანქანის ყიდვა გინდათ. პირველივეს ხომ არ იყიდით, ალბათ, რამდენიმეს მაინც ნახავთ, გასინჯავთ. ასე იქცევიან ფულიანი კლუბებიც, კალათბურთელებს ხანგრძლივად აკვირდებიან და გადაწყვეტილებას ბოლო მომენტში იღებენ. ასე რომ, დრო კიდევაა, ხვალ-ზეგ შესაძლოა რომელიმე ევროპული კლუბიც მომადგეს და კარგი კონტრაქტი შემომთავაზოს.

**— ადრე ამბობდით, „ნიუ ჯერსის" მთავარი მწვრთნელი, ბაირონ სკოტი ჩემით უკმაყოფილო არაა და დიდი შანსია, მომავალ სეზონშიც „ნეთსში" დამიტოვოსო.**

— ეს ვარიანტი ახლაც სავსებით შესაძლებელია. „ნიუ ჯერსის" ერთი ცენტრის აყვანა აქვს გადაწყვეტილი, კარგი ფულის გადამხდელიცაა. ამგვარად სკოტს ევან ეშმეიერი ესახება, რომელსაც ჩემსავით დაუმთავრდა კლუბთან კონტრაქტი და სხვა მსურველებიც ჰყავს. თუ „ნეთსმა" ეშმეიერი დარჩენაზე ვერ დაიყოლია, მერე აუცილებლად ჩემთან გააბამს მოლაპარაკებას: ამ საკითხზე ბაირონ სკოტი ღიად საუბრობს.

ისე, იღბალი მაინც ძალიან ბევრს ნიშნავს. „ნიუ ჯერსიმ" რომ ამიყვანა, ხშირად მათამაშებდა, ხოლო ეშმეიერი სულ სკამზე იჯდა. მერე ფეხი ვიტკინე და როლებიც გავცვალეთ, ეშმეიერი მუდმივად თამაშობდა, მე კი სათადარიგოებში ვიყავი. არაფერია, სიტუაციის გამოსწორება ყოველთვის შეიძლება, ასაკიც ხელს მიწყობს.

**— ვოვა, უგუნდობას თითქოს ადრე უფრო განიცდიდით ხოლმე. ახლა რაღაც დამშვიდებული ჩანხართ...**

— ასეა, მივხვდი, რომ სანერვიულო არაფერი მაქვს და ასეც რომ იყოს, ზედმეტი ემოციებით ვერაფერს შევცვლი. ახლა იმასაც ძალიან ვნანობ, ადრე რომ არ გავიკეთე ოპერაცია, ხომ შეიძლებოდა, ამას ძალიან ცუდი შედეგი მოჰყოლოდა? წლები, გამოცდილება მაინც თავისას შვრება. ადრე ვფაციფუცობდი, სულ ეკლებზე ვიჯექი, სულსწრაფი ვიყავი. ახლა უკვე დავმშვიდდი და მაინცდამაინც აღარ ვღელავ, ვიცი, რომ არ დავიკარგები.

**— ტრადიციულად, ბოლოს ისევ ეროვნულ ნაკრებზე დაგეკითხებით. აქ ამბობენ, ბულგარეთ-ბელარუსში გუნდს სტეფანიაც დაეხმარებაო...**

— დღეს ვერავის შევპირდები, რომ ნაკრებში აუცილებლად ჩამოვალ, მაგრამ თუ შევძელი, მერწმუნეთ, არ დავიზარებ. კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი ტელეფონით ხშირად მესაუბრება ხოლმე, ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და მას სიტყვა მივეცი, რომ რითაც შემეძლება, დავეხმარები ნაკრებს. ვიცი, რაოდენ მნიშვნელოვანიცაა ქართული კალათბურთისთვის ბულგარეთისა და ბელარუსის გუნდებთან თამაში. ამ შემთხვევაში ჩემი თანადგომა კონკრეტულ პიროვნებებს კი არა, კალათბურთს სჭირდება. ჰოდა, ყველა ღონეს ვიხმარ, ნაკრების აღმასვლაში მეც რომ დავდო ჩემი წილი.

**გიორგი ბიბაშვილი**

---

მძლეოსნობა

GOLDEN LEAGUE

## ოქროს ლიგა. III ეტაპი (ოსლო)

ExxonMobil

# მონტგომერიმ გრინს თამაში ესროლა

**ცელსიუსით** 13 გრადუსი ზაფხულში უშვებულებო თბილისელს თუ ეამება, თორემ სპრინტერს რამდენიმე პუნქტით მაღალი ტემპერატურა ურჩევნია კუნთების კარგად გასახურებლად. ციოდა ოსლოში, თერმომეტრი ნახსენებ სიმაღლეზე იდგა, როცა „ბიშლეტ სტადიუმზე" გვარიანი საზოგადოების თანდასწრებით „ოქროს ლიგის" მესამე ეტაპი შედგა. მასზე ტიმ მონტგომერიმ სეზონის რეკორდი დაამყარა და ხელად შემატა ინტრიგა ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასარბენ 100 მეტრს, რომლის უცილო ფავორიტად დღემდე მორის გრინს თვლიდნენ.

მძლეოსნობა სპორტის დედოფალია, 100 მეტრი — მძლეოსნობის, ამიტომ ტრინიდადელი ატო ბოლდონის გაბრაზება სწორად უნდა გავიგოთ. საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში იგი 100 მეტრზე მარადმწვანე მეორეადგილოსნად იქცა, ვარჯიშის ამხანაგი გრინი სადაც წაასწრებს, არ აზარებს. ასე იყო სიდნეის ოლიმპიადაზე და იქამდე და მერეც მრავალ შეჯიბრში: 1997 წლიდან ბოლდონს ჩემპიონის ტიტული არ ღირსებია. მაშინ იგი 200 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ბოლო თვეებში რიგი ჟურნალისტები დიდსულოვნად ურჩევენ, ნუ ჩააცივდი იმ წყეულ 100 მეტრს, 200-ზე გადადიო. რჩევა საფუძვლიანია, რადგან სირბილს თავს ანებებს მაიკლ ჯონსონი (ვისაც 200 მეტრის მსოფლიოს რეკორდი ეკუთვნის), სხვებს კი ბოლდონი ტოლს არ დაუდებს, მაგრამ... როგორც აღვნიშნეთ, ბოლდონი გაბრაზდა.

„200 მეტრზე სირბილი შენი დის კოცნასავით ადვილი საქმეა — ბუნდოვნად შეულრინა ტრინიდადელმა მრჩეველ ჟურნალისტს. ოსლოში, პრესკონფერენციაზე ხდება ეს ამბავი — ვის აინტერესებს 200 მეტრი, რომელიც სიგრძის მეტი 100-ს არაფრით სჯობია? პრესტიჟით კი იმის მეოთხედიც არ არის. საერთოდ, სპრინტში კაცი ისაა, ვინც 100 მეტრს იგებს".

სხვა დისციპლინებში ამჯერად რომ დაამარცხა, ბოლდონმა „ბიშლეტ სტადიონის" ბილიკმა მაშინ და ალუმიჩინს, რომ სპორტული მტერი მორის გრინი მის გვერდით არ დგას, რაც ტრინიდადელს, ცხადია, ნერვებს არ მოუშლიდა — ერთხელ მაინც ხომ უნდა მოეგო. არ გეგონოთ, რომ უგრინო გარბენს ინტრიგა მძლავრად მოაკლდა — გრინის ადგილი ამერიკის ჩემპიონს დაეკავებინა და მონდომებით ითელებოდა. უნდა გაგახსენოთ, რომ ქვეყნის პირველობა გრინმა ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციასთან უთანხმოების გამო გამოტოვა, რითაც უყოყმანოდ ისარგებლა ტიმ მონტგომერიმ, რომელსაც ადრე იუჯინის ტურნირზე გრინისთვისაც გაესწრო, მაგრამ ჩემპიონატის შემდეგ გრინმა კვლავ გაიმყარა სწორუპოვრის სტატუსი, როცა ზედიზედ გაიმარჯვა ლოზანას „გრან პრისა" და რომისა და პარიზის „ოქროს ლიგებზე". მან ყველგან გაუსწრო მონტგომერის.

ოსლოში ყველაზე ფეთიანი სტარტი ბოლდონმა აიღო და თითქმის დისტანციის ბოლომდე ლიდერობდა, მაგრამ დასკვნით მეტრებზე მონტგომერიმ 2 მეტრი წამში ზურგქარი და უფრო თავისი ფეხების სიმძლავრე გამოიყენა და მანვე აღმართა ხელები ფინიშის შემდეგ (იხილეთ გუშინდელი „სარბიელი"). მესამე ადგილზე ამერიკელი ბერნარდ უილიამსი გავიდა, რომელიც ასევე 10 წამში ჩაეტია და იქამდე ძლიერ ცოტა დააკლდა იაპონელ ნობუჰარა ასაჰარას, რომელსაც აზიის რეკორდის დამხობამდე წამის ორი მეასედი არ ეყო. აზიის რეკორდსმენია ასაჰარას თვისტომი კოჯი იტო, ხოლო რეკორდი სრულ 10 წამს შეადგენს, არც მეტს, არც ნაკლებს.

მსოფლიოს რეკორდი კი 9,79 წამს უდრის, გრინს ეკუთვნის და ოსლოში გაირკვა, რომ მისკენ მარტო პატრონი არ მიიწევს. ტიმ მონტგომერის გამარჯვება შემთხვევითობად ვერ ჩაითვლება, რადგან იგი კვირაში ექვსდღიანი ვარჯიშის შედეგია და ერთობ ცნობილი მწვრთნელის სახელსაც უკავშირდება.

პრინციპში, ამერიკის (და შესაბამისად, პლანეტის) სპრინტში ორი მწვრთნელი მბრძანებლობს: კალიფორნიაში მოღვაწე ჯონ სმიტმა მორის გრინი, ატო ბოლდონი და სხვები გაზარდა, ჩრდილოეთ კაროლინის რელის უნივერსიტეტის ფიზკულტურის ლექტორმა ტრევორ გრემმა კი — მარიონ ჯონსი და ბაჰამელი ჩანდრა სტარაპი. აქამდე სმიტი დომინირებდა ვაჟთა ფრონტზე, სადაც წლებია, გრემმა გრინის სადარი ვერ მოძებნა, სამაგიეროდ, ქალებში ჯონსი ყოველმხრივ ჩაგრავს სმიტის დამოძღვრილ ციცქნა ინგერ მილერს. მონტგომერი გრემის მოწაფეა და ეტყობა, სტატუს-კვოს კაროლინელის სასარგებლოდ რღვევას იწყებს. იგი არც აქამდე ყოფილა უსახელო. 1994 წელს იუნიორთა მსოფლიოს რეკორდი დაამყარა (9,96), მაგრამ არ ჩაუთვალეს, რადგან დისტანციის ზუსტი გაზომვისას მისი სიგრძე 99 მეტრი და 96 სანტიმეტრი გამოდგა. მონტგომერი მესამე იყო ათენის მსოფლიოს პირველობაზე და სიდნეიში 4X100 ესტაფეტის ჩემპიონი გახდა. მთავარი კი, ალბათ, წინ აქვს, რადგან გრემთან წვრთნას შეუდგა. „დიდებულ ფორმაში ვარ და გრინთან შესახვედრად ვემზადები — თქვა მან რბენის შემდგომ პრესკონფერენციაზე — მთავარია, რომ ასე ჩქარა ერთხელ ვირბინე. ახლა ჩემმა სხეულმა იცის, გასამეორებლად რა და როგორ გააკეთოს".

ქალთა 100 მეტრიანი გარბენი მარიონ ჯონსმა მოიგო, ვიოლეტა ბეკლია-სეკელიმ 1500 მეტრზე გაიმარჯვა და გაბრიელა საბომ 5000-ზე ერთხელაც დათმო პირველობა. საბოს ამჯერად რუსთა ტრიომ კი არა, 34 წლის კენიელმა ედიტ მასაიმ გაუსწრო. ვაჟთა 1500 კვლავ პრინციპული შემადგენლობით ჩატარდა, რადგან ირბინეს ალი საიდ სიიფმა, ბერნარდ ლაგატმა და ნოა ნგენიმ. „კურდღლის" ჩამოცლის მომენტში წინ საიდ სიიფი იყო, მერე ნგენი და მესამე — ლაგატი. ბოლო წრეზე ნგენი მოეშვა, როგორც წლეულს ხშირად ემართება ხოლმე და ლაგატმა მას გაუსწრო, მაგრამ აწყვეტილი ალჟირელი დაფავს კი ამაოდ ეცადა. საიდ სიიფმა ერთი მეჯნური განაცხადა: მეუმეტეს თავის ედიტონებისას მოძებწვეთს. მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი უშველად გაუჭირდეს საქმეს კიკოლ მოხოლები, ჰოგან ელ გერუჯ.

**დავით გულუა**




ავსტრიელი შტეფანი გრაფი მოზამბიკელ მარია მუტოლას ეჯიბრება, რომელსაც 800 მეტრზე გაუსწრო. 100 ნომრით ბრაზილიელმა ფაბიანა დოშ სანტუშმა ირბინა

## შარლოტ ჰორნეთსი

დაარსდა 1988 წელს
ნბა-ს ჩემპიონი არასდროს ყოფილა
მუდმივი ნომერი: 6 (მეექვსე მოთამაშე — გულშემატკივრები), 13 (ბობი ფილზი)
დარბაზი: შარლოტ კოლიზეუმი, ტევადობა 23 698

# ბევრი კრაზანა ბზუისო...



ჯამალ მაშბურნი დღევანდელი „შარლოტის" ლიდერია

**ჩრდილოეთ** კაროლინის შტატს, რომლის უდიდესი ქალაქიც გახლავთ შარლოტი, უზარმაზარი საკალათბურთო ტრადიციები აქვს და ვინაიდან ამერიკული კალათბურთი ნბა-სთანაა გაიგივებული, თითქოს შტატში სპორტის ამ სახეობის ფლაგმანად ნბა-ს გუნდი „შარლოტ ჰორნეთსი" უნდა ვიგულისხმოთ. ცხადია, ჩრდილოეთ კაროლინაში კალათბურთის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვით „კრაზანებს", თუმც ისინი დღემდე რჩებიან იმ გუნდის ჩრდილში, რომელსაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის ერთ თამაშშიც კი არ მიუღია მონაწილეობა.

წესით, სტუდენტური ჩემპიონატის გუნდი გვერდით როგორ უნდა დაუდგეს ნბა-ს წარმომადგენელს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ასეა. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდს შორის გავარდნია სახელი, რადგან სტუდენტურ ჩემპიონატში ბევრჯერ გამოუჭედავს ოქრო და იქ არაერთი ლეგენდარული კალათბურთელი გამოწრთობილა. თუნდაც მხოლოდ მაიკლ ჯორდანი რად ღირს, მაგრამ იგი კაროლინის უნივერსიტეტის გამოზრდილთა შორის ერთადერთი როდია, რომელიც შემდეგ ნბა-ს სუპერვარსკვლავი გახდა. 1986 წელს, როცა ნბა-ს ახალმა კომისარმა დევიდ შტერნმა ლიგის გაფართოება გადაწყვიტა, გაითვალისწინეს კაროლინელ სტუდენტთა ღვაწლი შტატში და სრულიად ქვეყანაში კალათბურთის განვითარების საქმეში და აშშ-ს მასშტაბით არცთუ დიდ ქალაქს, შარლოტს, ნება ებოძა, ნბა-ში გუნდი ჰყოლოდა.

თავისი უმცროსი (თუ უფროსი?) ძმისაგან განსხვავებით, „შარლოტ ჰორნეთსი" დიდი ტრადიციებით ვერ დაიკვეხნის და ეს ბუნებრივიცაა. არცთუ დიდი ხნის არსებობის მანძილზე „კრაზანებმა" ვერ მოასწრეს ნბა-ს დაპყრობა. მაქსიმუმი, რასაც ჯერჯერობით „ჰორნეთსმა" მიაღწია, სტაბილური საშუალო დონეა. აქ ყოველთვის თამაშობდნენ კარგი ბიჭები, რომელთა შორის გამოირჩევიან ალონზო მურნინგი, ლარი ჯონსონი, გლენ რაისი, ედი ჯონსი. ისინი 90-იან წლებში საუკეთესოთა შორის არიან, თუმც არც ერთი მათგანი არაა ლეგენდა.

„კრაზანათა" „ბუდის", „შარლოტ კოლიზეუმის" ჭერზე ამაყად ფრიალებს ორი მუდმივი ნომერი — 6 და 13, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ემოსა დიად კალათბურთელს. 13 ნომრით თამაშობდა ერთი რიგიანი ბიჭი, სახელად ბობი ფილზი, რომელიც 2000 წლის 12 იანვარს თანაგუნდელ დევიდ ვესლისთან შარლოტის ქუჩებში ავტომანქანით ჯირითში გაჯიბრებისას დაიღუპა, ხოლო რაც შეეხება ექვს ნომერს, ეს რიცხვი არც ერთ შარლოტელს არ ეკუთვნის. მისი მუდმივ ნომრად გამოცხადებით კლუბმა ოფიციალურად გადაუხადა მადლობა ერთგულ გულშემატკივრებს, სიმბოლურად მეექვსე მოთამაშეს, რომლებიც თითქმის ყოველ შეხვედრისას პირთამდე ავსებენ ნბა-ს ერთ-ერთ უდიდეს დარბაზს „შარლოტ კოლიზეუმს" და მეტოქე გუნდის რისხვას წარმოადგენენ.

კლუბის ცამეტწლიანი ისტორია არცთუ უხვად შეიცავს ღირსშესანიშნავ ეპიზოდებს. შარლოტელები პირველ რიგში 1993 წლის პლეი ოფით იამაყებენ, როცა იქ არსებობის მანძილზე პირველად გასულებმა პირველ წრეში ლარი ბერდის დროინდელი „ბოსტონ სელტიქსის" ნარჩენებს მოუგეს და მეორე წრეში გავიდნენ. ეს მათი ჭერია. „შარლოტმა" კიდევ ორჯერ დაძლია პლეი ოფის პირველი წრე, 1998 და 2001 წლებში, მის იქით კი აღარ წასულა.

არის კიდევ ერთი ეპიზოდი, რომლის გახსენებაც უხარიათ შარლოტელებს. 1997 წლის „ოლ სტარის" მატჩში გლენ რაისმა მესამე მეოთხედში 20 ქულა ჩააგდო, მეორე ტაიმში ჯამში 24, რაც „ოლ სტარების" ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებლებია. მაშინ რაისის მხარდამხარ აღმოსავლეთის ნაკრებში მაიკლ ჯორდანი თამაშობდა, რომელმაც იმ მატჩში „ოლ სტარების" ისტორიაში პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა, თუმც თამაშში მოგროვილი 27 ქულის წყალობით 1997 წლის „ოლ სტარის" უძვირფასეს მოთამაშედ გლენ რაისი აღიარეს და სამართლიანადაც.

და კიდევ ერთი, 1996 წელს „შარლოტმა" ერთ რიგით თამაშში „ჩიკაგო ბულზს" სტუმრად მოუგო და შეაწყვეტინა 44-თამაშიანი შინ მოგებების სერია. 1995-96 წლების სეზონში „ჩიკაგომ" მხოლოდ 10 თამაში წააგო და ყველა დროის რეკორდი დაამყარა. მაშინ მაიკლ ჯორდანს და კომპანიას სურდათ, სეზონი შინ თამაშის წაუგებლად ჩაემთავრებინათ, მაგრამ მათ წინ „კრაზანები" აღუდგნენ.

აი, სულ ეს არის ის, რითიც „კრაზანები" იამაყებენ, თუ არ ჩავთვლით შედარებით წვრილმან პირად ტიტულებს, მაგალითად, სეზონის ახალბედას ან სეზონის მეექვსე მოთამაშეს. თუმც არა, ერთი რამ გამოგვრჩა, წლევანდელი პლეი ოფის პირველ წრეში „შარლოტმა" მეგობარი გუნდი, სერიაში კი ფავორიტი, „მაიამი ჰითი" საშინლად დაამარცხა, მეორე წრეში კი 3:2 უგებდა „მილუოკის" და მომდევნო ორ თამაშში ერთი გამარჯვებაღა აკლდა აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში გასასვლელად (მერე ორივე დარჩენილი მატჩი წააგო). ასე რომ, ბოლო სეზონი შეიძლება ყველაზე წარმატებულად ჩაითვალოს „კრაზანებისთვის".

1993 წლიდან „ჰორნეთსი" მუდამ საშუალოებშია. ამ ცხრა სეზონში „შარლოტს" სამჯერ თითო გამარჯვება დააკლდა პლეი ოფამდე, სამჯერ გამოვარდა პირველი წრიდან და სამჯერაც მეორე წრიდან გამოეთიშა საჩემპიონო ოქროსთვის ბრძოლას, თუმც არსებითად „კრაზანები" არც არასდროს ეპოტინებოდნენ მას.

„შარლოტი" დაარსების დღიდან ძიებაშია და ხშირად მონაწილეობს მასშტაბურ გაცვლებში. ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა, ალბათ, უფრო „მაიამისთან" აქვს, გუნდთან, რომელთან ერთადაც, 1988 წელს შემოაბიჯა ნბა-ში. ეს ორი კლუბი ლამის ყოველ წელს ცვლიან მოთამაშეებს და ხანდახან ლიდერებსაც კი.

„შარლოტმა" 1988 წელს შემოაღო ნბა-ს კარი და პირველ პლეი ოფამდე ოთხი წელი იცადა. პირველი წარმატება ლარი ჯონსონის, ალონზო მურნინგის და ნბა-ს ისტორიაში ყველაზე დაბალი კალათბურთელის, 160-სანტიმეტრიანი მაქსი ბოგსის სახელებს უკავშირდება. გუნდში 1991 წელს მისულ ჯონსონს 1992 წელს მურნინგიც შეუერთდა. მათი წყალობით „კრაზანები" პირველად გასცდნენ რეგულარულ ჩემპიონატს და სენსაციაც გამოაცხვეს — კევინ მაკჰეილის და რობერტ პერიშის ჯერაც ღონიერი „ბოსტონი" დაამარცხეს, რითაც 80-იანი წლების ლეგენდარული „სელტიქსის" დიდება საბოლოოდ დაამხეს. მაშინ სერიის მეოთხე თამაშის ბოლო წამზე გადამწყვეტი ბურთი ალონზო მურნინგმა ჩააგდო, რომელიც შემდეგ სიხარულისგან რამდენიმე წამს გონდაკარგული ეგდო იატაკზე. მეორე წრეში „შარლოტი" „ნიუ იორკმა" დასცა.

1993-94 წლების სეზონში „კრაზანებისგან" მეტს ელოდნენ, მაგრამ ჯონსონის და მურნინგის ტრავმებმა თავისი ქნა, გუნდი ვერ გავიდა პლეი ოფში. კიდევ ერთი წლის შემდეგ უკვე ჯანზე მყოფმა ამ დუეტმა კალათბურთში ახალმობრუნებულ ჯორდანთან და მის „ჩიკაგოსთან" ვერაფერი გააწყო პირველ წრეში.

კლუბის მამებმა ჩათვალეს, რომ ამ შემადგენლობამ შესაძლებლობები ამოწურა, ამიტომ 1995 წელს გუნდის ლიდერი მურნინგი „მაიამის" გლენ რაისში გაუცვალეს. ერთი წლის შემდეგ კლუბმა ლარი ჯონსონი „ნიუ იორკში" გაუშვა და სანაცვლოდ ენტონი მეისონი მიიღო. იმავე 1996 წელს მწვრთნელი ალან ბრისტოუ 70-იანი წლების ლეგენდარულმა ბოსტონელმა დეივ კოუენსმა შეცვალა. გუნდში მივიდა იუგოსლავიელი ცენტრი ვლადე დივაცი და „შარლოტმა" ის სეზონი სარეკორდო მაჩვენებლით, 54 გამარჯვებით დაასრულა, თუმც შორს ვერ წავიდა, პლეი ოფის პირველი წრიდან გავარდა. 1998 წელს „კრაზანებმა" პირველი წრე გაიარეს, 1999 წელს კი სულაც ვერ მოხვდნენ პლეი ოფში, რამაც კვლავ გამოიწვია ძირეული ცვლილებები. 1999 წელს კოუენსის ადგილი პოლ საილასმა დაიკავა, გლენ რაისი კი „ლეიკერსში" გაუშვეს ედი ჯონსის სანაცვლოდ. 2000 წელს ანუ წინა სეზონის დაწყებამდე „კრაზანებმა" კიდევ ერთხელ აახმაურეს ნბა — ჯონსი და მეისონი „მაიამის" ჯამალ მაშბურნში და ფი ჯეი ბრაუნში გაუცვალეს. შედეგად, „მაიამი" 3:0 დაამარცხეს პლეი ოფის პირველ წრეში, მაგრამ როცა საქმე მეორე წრეზე შორს გაფრენაზე მიდგა, „კრაზანებს" ფრთები მოეწვათ.

როგორც ხედავთ, ეს ბოლო ათი წელია, „კრაზანები" ბევრს ხმაურობენ. ისინი მონაწილეობენ დიდ გაცვლებში, რაც გუნდის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ არსებითად „ჰორნეთსი" ერთ ადგილს ტკეპნის. ამ შემადგენლობით „შარლოტს" დაქვეითება არ ემუქრება, თუმც აღზევებაზეც ვერაფერს მოგახსენებთ. „კრაზანებს" განსაკუთრებით ორი ბიჭის — ჯამალ მაშბურნის და ბაირონ დევისის ეიმედებათ, რომლებმაც წლეულს მაიამელებს გაჩენის დღე აწყევლინეს. გუნდი მათთან ერთად მომავლის გეგმებს სახავს, ასე რომ, ამ სეზონთაშორის პერიოდში „კრაზანათა" ბზუილს ალბათ არ გავიგონებთ.

**ირაკლი ფირაშვილი**



# ქართული სიუჟეტი
## პაუნდს როგი ჩაწყობით გასული ჰგონია

„რას მეტყვით, მუშაობდა კულისებში ხუან ანტონიო სამარანჩის ავტორიტეტი?" — ჰკითხა ჟურნალისტმა დიკ პაუნდს.

„ეჭვი არ მეპარება" — იყო პასუხი. პაუნდი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვერ გახდა. ქართველებისთვის უაღრესად ნაცნობი სიუჟეტია: ის ჩემი კაცია და შენ იცი, მიეცი და მოგეცემა! მერე კი ყვირილი: გააყალბეს! მოგვატყუეს! ქვეყანას კლანები მართავენ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია, აქ ხშირად ჭიჭყინაა დავის საგანი, იქ კი ზვიგენი და მერე რა ზვიგენი — უმდიდრესი და უდიდესი სპორტული ორგანიზაცია თავის მილიონებითა და მსოფლიო სახელით. არ არის გასაკვირი, რომ ჟაკ როგის სოკ-ის პრეზიდენტად არჩევას ხმაური მოჰყვა.

ხუან ანტონიო სამარანჩს პრეზიდენტობის 21 წლის მანძილზე საერთოდ თავსატეხები დაებედა და ეს ბოლო ამბები უკვე პენსიაზე გასულს ცხოვრებას ვერ აუმღვრევს, მაგრამ უსიამოვნოა იმის მოსმენა, რომ ვიღაცეებს თურმე სოკ-ის წევრად მისი შვილის, ხუან ანტონიო უმცროსის არჩევა არ ეპიტნავათ და კიდევ უფრო უსიამოვნო ის კომენტარია, ზემოთ რომ გითხარით.

სამარანჩმა ბევრჯერ დააფიქსირა, რომ არჩევნებში სრულ ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებდა, მაგრამ რამდენჯერმე გამოხატა სიმპათია როგის მიმართ, ხოლო პაუნდს, ვინც სოკ-ის ფინანსური ბაზისი უაღრესად გაამყარა, ბოლო ხანებში მისი კომპლიმენტები აშკარად აკლდა. მოკლედ, ჩანდა, რომ ესპანელ მარკიზს როგი ეხატებოდა გულზე და ძნელია თქმა, არჩევნებისას სოკ-ის წევრებზე ამან არ იმოქმედაო.

და რატომ ეხატებოდა? თუ პიროვნულ მომენტებს ამოვაგდებთ (როგი დიპლომატია და პატიოსანი; პაუნდი კი მაინც ფულთან დაახლოებული და პირდაპირი, ძლიერ ცოტა მეგობარი ჰყავს), გვრჩება კონტინენტის ფაქტორი: სოკ-ის შეფი კვლავ ევროპელია. სწორედ ამას მიაქცია პაუნდმა განსაკუთრებული ყურადღება თავის ნაწყენ კომენტარებში. „კომიტეტში არის ძლიერი ევროცენტრული ფრთა — თქვა პაუნდმა — რომელსაც ევროპელი პრეზიდენტი უნდოდა და ამ მიზნით ცოტ-ცოტა ხალხი სხვა კონტინენტებიდანაც გადაიბირა. მე კი ახლა წასვლას ვაპირებ. როცა ამ გზას შევუდექი, ჩემი გეგმა ყველაფერი ან არაფერი იყო. თუ დავმარცხდებოდი, გადაწყვეტილი მქონდა, ყველა დანარჩენი პოსტი დამეთმო, ალბათ ასეც მოვიქცევი".

როგმა პრესკონფერენციაზე დაადასტურა, რომ პაუნდისგან წერილი მიიღო, სადაც ზემორე აზრი ამოიკითხა და კანადელს შეუთვალა, ძალიან მსურს, რომ არსად წახვიდე და შენი საქმე გააგრძელოო. პაუნდმა ყოყმანი დაიწყო. ბოლო ინფორმაციით, იგი მოსაფიქრებლად დროს ითხოვს. „მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს ხელმძღვანელად დარჩენის თაობაზე ჩემს გადაწყვეტილებას აგვისტოს დასაწყისში გამცნობთ — უთქვამს პაუნდს — დანარჩენებზე სექტემბერში".

მეორე ნაწყენი კიმ უნ-იონგია, რომელმაც პაუნდს ერთი ხმით გაუსწრო და მეორე ადგილი დაიკავა, თუ ამას მნიშვნელობა აქვს. იმანაც გამოთქვა უკმაყოფილება კენჭისყრის შედეგებით, მაგრამ გვიანაა, როგი პრეზიდენტია და ახალ რანგში პირველ პრესკონფერენციებს მართავს. იგი ლაპარაკობს ახალ პროგრამაზე — „ოლიმპიური მოძრაობა დოპინგის, კორუფციის და ძალადობის წინააღმდეგ". „პირველი გამოცდის ჩაბარება სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადისას მოგვიწევს — ამბობს როგი — და ამერიკელ მეგობრებს ამ საქმეში ყოველმხრივ დავეხმარებით".

როგი ოლიმპიური სოფლისა და დოპინგის პრობლემებსაც შეეხო. მეორე გასაგებია, პირველი კი ისაა, რომ სოკ-ის წევრები ოლიმპიადებზე ოლიმპიელებთან ერთად სოფელში კი არა, თურმე ძვირ ოტელებში ცხოვრობენ, რაზეც საყვედურები ისმის, ოლიმპიელები ერთი ოჯახია და ეს რას ჰგავსო. „მუშაობისთვის ოტელი მოხერხებულია — ამბობს როგი — ისე კი სოფელში დავიძინებ. ეს ჩემი დიდი ოცნებაა". რაც შეეხება დოპინგს, ახალ პრეზიდენტს ამაზე ჯერ ახალი ბევრი არაფერი უთქვამს: „სპორტი სუფთად უნდა შევინახოთ. არ მწამს, რომ დოპინგს ბოლომდე მოვერევით, მაგრამ მინიმუმამდე კი დავიყვანთ".

ხოლო სამარანჩის ხანა ისტორიამ მიიბარა. მან ორშაბათს მემკვიდრის ხელიდან უმაღლესი ჯილდო, ოლიმპიური ოქროს ორდენი მიიღო.

**დავით გულუა**



ჟაკ როგი (მარჯვნივ) ხუან ანტონიო სამარანჩის ფავორიტი იყოო, ამბობენ წაგებული კანდიდატები

# სპორტული ლატარია კროკო

**პოლონეთი. 1-ლი ტური**
**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 006 | რუხი-სტომილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 001 | ვიძევი-ზაგლებე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 002 | პოლონია-გურნიკი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 003 | ოდრა-კატოვიცე | 1,95 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 004 | ოსტროვეცი-ვისლა | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 20.00 | 005 | ამიცა-გროცლინი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 007 | შლიონსკი-ლეგია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 20.00 | 008 | რადომსკო-პოგონი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**ავსტრია. მე-2 ტური**
**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 010 | ტიროლი-ბრეგენცი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.30 | 011 | ადმირა-კერნტენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 22.30 | 012 | აუსტრია-გრაცერი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.30 | 013 | რიდი-რაპიდი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-3 ტური**
**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 015 | გრასჰოპერი-იანგ ბოისი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.30 | 016 | ლოზანა-ციურიხი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.30 | 017 | ლუცერნი-ლუგანო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 018 | სერვეტი-ქსამაქსი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 22.30 | 019 | სენტ გალენი-ბაზელი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-4 ტური**
**21 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.30 | 020 | აარაუ-სერვეტი |
| 22.30 | 021 | ბაზელი-ლოზანა |
| 22.30 | 022 | ქსამაქსი-სენტ გალენი |
| 23.15 | 023 | გრასჰოპერი-ლუცერნი |

**22 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 19.15 | 024 | იანგ ბოიზი-ციურიხი |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-3 ტური**
**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 025 | კონკორდია-თუნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 026 | ვადუცი-ბელინცონა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 027 | ვინტერთური-ბადენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 22.30 | 028 | დელემონი-ვილი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 029 | ლოკარნო-კარუჟი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 22.30 | 030 | ივერდონი-კრინსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**დანია. 1-ლი ტური**
**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 031 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**22 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 032 | ესბიერგი-ოდენსე | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 033 | სილკებორგი-აკადემისკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 034 | ვაილე-ლიუნგბიუ | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.05 | 035 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**23 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 036 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**რუსეთი. მე-17 ტური**
**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 037 | ცსკა-სპარტაკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 16.00 | 038 | ჩერნომორეცი-როტორი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 16.00 | 039 | სოკოლი-როსტსელმაში | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 16.00 | 040 | ზენიტი-ტორპედო ზილ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 16.00 | 041 | ლოკომოტივი-სატურნი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 16.00 | 042 | ანჟი-ფაკელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 16.00 | 043 | ალანია-დინამო | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 16.00 | 044 | ტორპედო-კრილია | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**რუსეთი. მე-18 ტური**
**22 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 16.00 | 045 | როსტსელმაში-ჩერნომორეცი |
| 16.00 | 046 | როტორი-სპარტაკი |
| 16.00 | 047 | კრილია-ალანია |
| 16.00 | 048 | დინამო-ანჟი |
| 16.00 | 049 | ფაკელი-ლოკომოტივი |
| 16.00 | 050 | სატურნი-ზენიტი |
| 16.00 | 051 | ტორპედო-ცსკა |

**23 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 16.00 | 052 | ტორპედო ზილ-სოკოლი |

**შვედეთი. მე-14 ტური**
**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 053 | ჰალმსტადი-იორებრო | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**22 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 054 | იურგორდენი-ელფსბორგი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 20.00 | 055 | ტრელებორგი-ჰეკენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**23 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 056 | სუნდსვალი-მალმიო | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 057 | ნორჩიოპინგი-გიოტებორგი | 3,0 | 3,1 | 2,1 |

**ნორვეგია. მე-15 ტური**
**22 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 058 | ბრანი-ტრომსიო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 059 | ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 060 | ლინი-სოგნდალი | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 21.00 | 061 | ოდ გრენლანდი-ბოდიო გლიმტი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 062 | სტაბეკი-ბრინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 063 | ვიკინგი-მოსი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 23.05 | 064 | მოლდე-რუსენბორგი | 2,8 | 3,1 | 2,2 |

**ფინეთი. მე-20 ტური**
**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 065 | ჯაზი-ვაასა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.30 | 066 | კუოპიო-ჰიკ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 20.30 | 067 | ლაჰტი-ატლანტისი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 068 | მიუპა-ინტერი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.30 | 069 | როვანიემი-იოკერიტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფინეთი. 21-ე ტური**
**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 070 | ტამპერე-ატლანტისი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**22 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 071 | ინტერი-იოკერიტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 072 | მიუპა-ჯაზი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 20.30 | 073 | როვანიემი-ჰიკ | 3,3 | 3,0 | 2,1 |

**გერმანია. ლიგის თასი**
**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 075 | ბაიერნი-ჰერტა | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**21 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.45 | 076 | ფინალი |

**საფრანგეთი. სუპერთასი**
**19 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 077 | სტრასბური-ნანტი | 3,2 | 3,1 | 2,0 |

**ჩემპიონთა ლიგა. I ეტაპი. II მატჩები**
**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 501 | შამქირი-ბარი თაუნი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.00 | 502 | ტორპედო-ლინფილდი | ანგარიში - 5,0 | | |
| 20.30 | 503 | ვლაენია-რეიკიავიკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 504 | კაუნასი-სლოგა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 21.00 | 505 | მოზირი-ვაგური | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 21.00 | 506 | ჰაკა-ვალეტა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 21.00 | 507 | სკონტო-დუდელანჟი | 1,08 | 7,0 | 14,0 |
| 21.30 | 508 | ლევადია-ბოჰემიანსი | 1,95 | 3,1 | [illegible] |
| 22.00 | 509 | შერიფი-არაქსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.15 | 510 | ჟელეზნიჩარი-ლევსკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ინტერტოტოს თასი. III ეტაპი. II მატჩები**
**21 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 511 | მიუნხენი-ვალვაიკი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 512 | ასტონ ვილა-სლავენი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 19.30 | 513 | სინოტი-რენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 514 | პობედა-ბლშანი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.00 | 515 | აიკ-ტრუა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.00 | 516 | დინამო (მინსკი)-ვოლფსბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 517 | პსჟ-ტავრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 22.30 | 518 | ტატაბანია-ბრეშა | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.30 | 519 | ჰერენვენი-ბაზელი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 22.30 | 520 | ლოზანა-ცელიე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 521 | ნიუკასლი-ლოკერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 522 | გენტი-ვერდერი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

**კოპა მერკოსური**
**21 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 02.00 | 523 | ფლამენგო-ნასიონალი |

**22 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.00 | 524 | რივერ პლეიტი-გრემიო |

**კოპა ამერიკა (კოლუმბიაში)**
**18 ივლისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 527 | პერუ-მექსიკა | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 05.45 | 528 | ბრაზილია-პარაგვაი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**19 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 04.00 | 529 | ბოლივია-კოსტა რიკა |
| 06.15 | 530 | ჰონდურასი-ურუგვაი |

**22 ივლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 00.00 | 531 | მეოთხედფინალი | 00.00 | 532 |

**მეოთხედფინალი**
**23 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 00.00 | 533 | მეოთხედფინალი |
| 00.00 | 534 | მეოთხედფინალი |

**იუნიორთა (18 წლ.) ევროპის ჩემპიონატი (ფინეთში)**
**21 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 17.30 | 535 | ფინეთი-უკრაინა |
| 20.00 | 536 | ჩეხეთი-იუგო[illegible]ავია |

**22 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.30 | 537 | პოლონეთი-ესპანეთი |
| 20.30 | 538 | ბელგია-დანია |

**23 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 20.00 | 539 | ფინეთი-ჩეხეთი |
| 20.00 | 540 | უკრაინა-იუგოსლავია |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**
**20 ივლისი**

| | | |
|---|---|---|
| 18.00 | 541 | ნამიბია-სენეგალი |
| 20.00 | 542 | ალჟირი-ეგვიპტე |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# ბათუმში

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო
მისამართი: ფიროსმანის ქუჩა №7ა

1 აგვისტოდან კროკო
ხუთშაბათობითაც იმუშავებს. დასვენების
დღე მხოლოდ ორშაბათი იქნება.
სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ფიროსმანის ქუჩა № 7ა | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანელი ლომები ავსტრალიაში

# მაკქუინმა ყველაფერი მოიგო და წავიდა



REUTERS სიდნეიდან

ავსტრალიელთა მწვრთნელი როდ მაკქუინი ნაკრებიდან წავიდა, მალე კაპიტანი ჯონ ილზიც უკან მიჰყვება

**სიდნეი. 14 ივლისი. მესამე ტესტი**

**ავსტრალია 29:23 ბრიტანელი ლომები**

**ავსტრალია:** ბერკი, უოლკერი, ჰერბერტი, გრეი (მოლბეკი 75), როფი, ფლეტლი, გრეგანი; სტაილზი, ჰოლი, მური, ჰარისონი, ილზი (კაპ.), ფინეგანი (კოკბეინი 72), სმიტი, კეფუ

**2ლ:** ჰერბერტი; **2გ. და 5ს:** ბერკი

**ბრიტანელი ლომები:** პერი (ინგლისი), ჯეიმსი (უელსი) (ბოლშოუ 73, ინგლისი), ოდრისკოლი (ირლანდია), ჰენდერსონი (ირლანდია), რობინსონი (ინგლისი), უილკინსონი (ინგლისი), დოუსონი (ინგლისი); სმიტი (შოტლანდია) (მორისი 70, უელსი), ვუდი (ირლანდია), ვიკერი (ინგლისი), ჯონსონი (ინგლისი, კაპ.), გრიუკოკი (ინგლისი), კორი (ინგლისი), ქუინელი (უელსი) (ჩარვისი 40, უელსი), ბეკი (ინგლისი)

**2ლ:** რობინსონი, უილკინსონი; **2გ. და 3ს:** უილკინსონი

**დროებითი გაძევება:** ჰერბერტი (51-61)

**მსაჯი:** პედი ობრაიენი (ახალი ზელანდია)

ტესტ-სერია ბრიტანელ ლომებსა და ავსტრალიას შორის პირველად 102 წლის წინ გაიმართა. ბრიტანეთისა და ირლანდიის რჩეული მორაგბეები იქიდან მოყოლებული მუდმივად ჩაგრავდნენ ოზებს და თუ ხანდახან ერთ ტესტს მაინც წააგებდნენ ხოლმე, მთლიანად სერიას მუდმივად თავიანთ სასარგებლოდ ამთავრებდნენ.

ასე მოხდა 1989 წელსაც, როცა ლომები წლევანდლამდე ბოლოჯერ ესტუმრნენ მწვანე კონტინენტს. მაშინ მასპინძლებმა პირველ მატჩში იმარჯვეს, მაგრამ მერე ზედიზედ ორჯერ დამარცხდნენ.

შაბათს კი ავსტრალიელთათვის ცუდი ტრადიცია დაირღვა და მსოფლიოს ჩემპიონებმა პირველად სძლიეს ლომებს. შაბათის მატჩითვე ავსტრალიის ნაკრეში დამთავრდა როდ მაკქუინის ეპოქა ვოლაბებისთვის, რომელიც ძალიან ნაყოფიერი გამოდგა.

ნაკრების მთავარი მწვრთნელობისას მაკქუინმა თავის შეგირდებს რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი მოაგებინა: მსოფლიოს თასი (1999 წ.), სამი ერის ჩემპიონატი (2000 წ.), ბრიტანელ ლომებთან სერია... მისი ხელმძღვანელობით ვოლაბებმა 42 ტესტი გამართეს, რომელთაგან 33 თავიანთ სასარგებლოდ, ერთი ფრედ დაასრულეს და მხოლოდ 8-ჯერ წააგეს. ახლა მაკქუინი, სამხრეთ ნახევარსფეროს ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობებს თუ დავუჯერებთ, სამხრეთ აფრიკას მიაშურებს და „ქურციკებთან" დაიწყებს მუშაობას.

უცნაურია, არა? ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ იგი და სამხრეთ აფრიკის მწვრთნელი ჰარი ფილიოენი დიდი ხნის გულითადი მეგობრები ყოფილან, მაკქუინისგან აფრიკელთა დამრიგებლის თანაშემწეობა მაინცდამაინც არ უნდა გაგვიკვირდეს.

მაკქუინის გაცილებას სიდნეიში 84 ათასი მაყურებელი დაესწრო და ძალიანაც ისიამოვნა მშვენიერი სანახაობით. „ეს ერთ-ერთი ულამაზესი სერიაა, რომელშიც კი მონაწილეობა მიმიღია" — თქვა მატჩის შემდეგ ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯონ ილზმა, რომელიც თავის მხრივ ნაკრებთან დამშვიდობებას წლევანდელი სამი ერის ჩემპიონატის შემდეგ გეგმავს.

შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა და მისი ბედი, ფაქტობრივად, ბოლო წუთებზე გადაწყდა. ლომები, წინა თამაშისგან განსხვავებით, გაცილებით უკეთ ირჯებოდნენ და მსოფლიოს საუკეთესო დაცვას უამრავი თავსატეხი გაუჩინეს. გულხელდაკრეფილნი არც მასპინძლები იყვნენ, ისინიც ბევრს უტევდნენ და ტაიმი 16:13 მოიგეს.

შესვენების შემდეგ ევროპელები უფრო აქტიურობდნენ და მეორე ლელოც გაიტანეს, რასაც დანიელ ჰერბერტის ასევე მეორე ლელო მოჰყვა. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე ანგარიში 23:23 იყო. აქ გამოადგა ავსტრალიას ცივსისხლიანი დამრტყმელი მეტიუ ბერკი, რომელსაც დაძაბულ სიტუაციაში ფეხი არ აჰკანკალებია, ორი საჯარიმო შეაგდო, ჯამში 19 ქულა დააგროვა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

„ცუდია, მსოფლიოში წლის უმთავრეს თამაშს რომ აგებ" — დანა პირს არ უხსნიდა „ლომების" ახალზელანდიელ მომთვინიერებელ გრემ ჰენრის.

**გაგი გურული**



REUTERS სიდნეიდან

ავსტრალიელ ჯასტინ ჰარისონს (ჩაფხუტით) და მარტინ ჯონსონს აუტში ფიცხელი ბრძოლა გაუმართავთ

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის,
აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის,
შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.
მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-26-84.
კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ნატა გელოვანი
(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)



**მიკა ჰაკინენი (ფინეთი)**

დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს ჰელსინკიში

ცოლშვილიანი. ცხოვრობს მონტე კარლოში

სიმაღლე 179 სმ, წონა 70 კგ

დებიუტი ფორმულა 1-ში: აშშ-ის დიდი პრიზი (1991)

პირველი გამარჯვება: ევროპის დიდი პრიზი (1997)

მსოფლიოს ორგზის (1998, 1999) ჩემპიონი

156 რბოლა (ფორმულის ისტორიაში მე-16 შედეგი), 19 მოგება (11), 26 პოული (7), 24 უსწრაფესი წრე (5), 50 პოდიუმი (8), 402 ქულა

გუნდები: „ლოტუსი" (1991-92), „მაკლარენი" (1993 წლიდან)

# მიკა შესანიშნავ შვიდეულშია

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**წლევანდელ** 52-ე საფორმულო ჩემპიონატში რამდენიმე „მრგვალი" შედეგი აღინიშნა: მიხაელ შუმახერის ბრწყინვალე კარიერაში მე-700 ქულა და 50-ე გამარჯვება, აგრეთვე დევიდ კულჰარდის, ჟაკ ვილნევის, რალფ შუმახერის მიერ შესაბამისად სამასი, ორასი და ასქულიანი ზღუდეების დაძლევა.

კვირას სილვერსტოუნის ავტოდრომზე ბრიტანეთის დიდი პრიზის მოგების შემდეგ იუბილართა რიგებს მიკა ჰაკინენიც შეემატა — ფინელმა ორგზის ჩემპიონმა 400-ქულიანი ზღვარი გადალახა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მარცხიანი სეზონი მას ბოლო ხუთი წელია, არ ჰქონია, წლეულს ხუთჯერ ფინიშამდე მიღწევა ვერ შეძლო და ათ რბოლაში მხოლოდ ცხრა ქულას მოუყარა თავი. წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მიკას მამობას თვლიან — მას შემდეგ, რაც ვაჟიშვილი შეეძინა, საჭესთან ზედმეტად ფრთხილი გახდაო. იქნებ ასეცაა, ყოველ შემთხვევაში, დეკემბერში ჰუგოს დაბადების მერე ჰაკინენს ერთი ეტაპიც ველარ მოეგო. „სილვერსტოუნზე" გამარჯვებით მან შესამჩნევად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და საპრიზო ადგილის შანსიც გაუჩნდა.

ფორმულა 1-ის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში სტარტზე გასულ 589 მრბოლთაგან მხოლოდ 26-მა მოახერხა დიდოსტატთა „კლუბში" შესვლა, ანუ ორასზე მეტი ქუ  ს დაგროვება. ქვემოთ სწორედ მათ სიას გთავაზობთ.

| | | | ქულა | რბოლა | საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | 798,5 | 199 | 4,0 |
| 2 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 762 | 156 | 4,9 |
| 3 | აირტონ სენა | ბრაზილია | 614 | 161 | 3,8 |
| 4 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | 485,5 | 204 | 2,4 |
| 5 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 482 | 187 | 2,6 |
| 6 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | 420,5 | 171 | 2,5 |
| 7 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 402 | 156 | 2,6 |
| 8 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 385 | 210 | 1,8 |
| 9 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 360 | 99 | 3,6 |
| 10 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 360 | 115 | 3,1 |
| 11 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 341 | 118 | 2,9 |
| 12 | კარლოს რუტმანი | არგენტინა | 310 | 146 | 2,1 |
| 13 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 289 | 176 | 1,6 |
| 14 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 281 | 144 | 1,9 |
| 15 | რიკარდო პატრეზე | იტალია | 281 | 256 | 1,1 |
| 16 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | 277,5 | 51 | 5,4 |
| 17 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | 274 | 72 | 3,8 |
| 18 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | 261 | 126 | 2,1 |
| 19 | ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | 255 | 112 | 2,3 |
| 20 | დენის ჰალმი | ახალი ზელანდია | 248 | 112 | 2,2 |
| 21 | ჟან ალეზი | საფრანგეთი | 239 | 195 | 1,2 |
| 22 | ჟაკ ლეფიტი | საფრანგეთი | 228 | 176 | 1,3 |
| 23 | კლეი რეგაცონი | შვეიცარია | 212 | 132 | 1,6 |
| 24 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | 206 | 116 | 1,8 |
| 25 | რონი პეტერსონი | შვედეთი | 206 | 123 | 1,7 |
| 26 | ჟაკ ვილნევი | კანადა | 204 | 93 | 2,2 |
| ... | | | | | |
| 32 | ედი ირვინი | დიდი ბრიტანეთი | 181 | 124 | 1,5 |
| ... | | | | | |
| 36 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | 173 | 141 | 1,2 |
| ... | | | | | |
| 39 | ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | 159 | 124 | 1,3 |
| ... | | | | | |
| 47 | რალფ შუმახერი | გერმანია | 117 | 77 | 1,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურ დე ფრანსი

# შბრძესი, შრთულესი და უმთავრესი
# არ ეთამაშოთ არმსტრონგს პოკერი

„ძალიან მძიმე ეტაპი იყო — მადლენის აღმართი უგრძესი, გლანდონის ურთულესი, ლ'ალპ დ'უეზისა კი უმთავრესი. თავიდან თითქოს პოკერს ვთამაშობდი. ვიცოდი, ჩემი ნახვა ტელევიზიით ყველას შეეძლო და მეც თითქოს ძალიან მიჭირდა, ისეთი დაღლილობა დავიხატე სახეზე. ამან გაჭრა და სანამ არ შევუტიე, სერიოზულად არც არავინ აღმიქვამდა“ — განაცხადა პირველი მაღალმთიანი ეტაპის ბრწყინვალედ მოგების შემდეგ ლენს არმსტრონგმა.

მთელი გზის მანძილზე პელოტონის პირველი ნაწილის ბოლოში დამალულმა არმსტრონგმა დღის უკანასკნელ და უმთავრეს დაბრკოლებაზე შეუტია და თავის უმთავრეს კონკურენტს ყვითელი მაისურისთვის ბრძოლაში, იან ულრიხს, ლამის ორი წუთიც აართვა.

ეტაპი პელოტონმა დიდი ხნის ნანატრ მზიან ამინდში დაიწყო. იერიშები თავიდანვე მრავლად იყო და უკვე დაახლოებით მე-10 კილომეტრზე სამკაციანი ჯგუფიც დაწინაურდა. ფრანგ ლორან რუს (დელატური) ესპანელები — ელადიო ხიმენესი (იბანესტო) და ანტონიო ტაულერი (კელმე) აჰყვნენ და სამეულმა ფრენის მწვერვალს ათწუთიანი მარაგითაც უწია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთმა ტემპმა სპრინტერთა რიგები გამოხშირა და ესტონელი იან კირსიპუუ და ბელგიელი ტომ სტეელსი შეჯიბრს გამოეთიშნენ.

უმაღლესი კატეგორიის დაბრკოლების — მადლენის მისადგომებთან ლტოლვილების უპირატესობა 13 წუთს შეადგენდა ფავორიტთა პელოტონთან. ყვითელმაისურიანი სტიუარტ ოგრედი კი უკვე საგრძნობლად ჩამორჩენილიყო, ისევე როგორც რამდენიმე ძლიერი მრბოლი, მაგალითად, ბობი ჯულიჩი და ანხელ კასერო. სამაგიეროდ, ფრანსუა სიმონი და ლორან ჟალაბერი იდგნენ მაგრად.

რუსა და ხიმენესის მიერ შეთავაზებულ სიჩქარეს ტაულერმა ვერ გაუძლო და მალე პელოტონში ჩაინთქა. მადლენის უმაღლეს წერტილამდე ფრანგმა მეორე ესპანელიც მიატოვა და მარტოობაში დარჩა. დელატურელმა მერე კარგად გაუძლო „ტელეკომის“ თავკაცობით პელოტონის შემოტევებს და ლ'ალპ დ'უეზის ძირს სხვებზე მთელი ექვსი წუთით ადრეც მიადგა. ამ პერიოდში ულრიხს ჰქონდა შანსი, არმსტრონგი ჩამოეტოვებინა და ეგებ გამოსვლოდა კიდეც, რადგან მას უფრო მეტი თანაგუნდელი ეხმარებოდა, ვიდრე ამერიკელს, მაგრამ გერმანელი, ეტყობა, პოკერს კარგად ვერ თამაშობს.

„ტურის ზედიზედ ორგზის გამარჯვებულმა თავის უმთავრეს გრეგარ რობერტო ერასთან ერთად ბოლოსღა შეუტია, მაგრამ როგორ!

ულრიხი, მორო და სხვები თითქოს ასფალტს მიეწებნენ და არმსტრონგი მარტო მიდისო, იფიქრებდი. 10-კილომეტრიანი სპრინტის შემდეგ ამერიკელმა „ტურზე“ მერვე ეტაპი მოიგო და დაამტკიცა, რომ მის მესამედ გაჩემპიონებას, ალბათ, ხელს ვერავინ შეუშლის. მან აღმართი ისე აიარა, თითქოს სწორ გზაზე მიდისო, რუს ამ მონაკვეთზე 10 წუთი მოუგო, მდევრებს კი ორ-ორი წუთი.

ყვითელ მაისურამდე კი მისთვის ჯერ მაინც შორია. საერთო ჩათვლაში ახლა ფრანსუა სიმონი დაწინაურდა, ვინც პოსტალელთან ათიოდე წუთი დათმო.

დღეს ინდივიდუალური რბოლაა 18,5-კილომეტრიანი აღმართით, რაც ძალიან საინტერესო ბრძოლას გვპირდება არმსტრონგსა და დანარჩენებს შორის.

**გაგი გურული**



REUTERS ლ'ალპ დ'უეზიდან

ლენს არმსტრონგი ლ'ალპ დ'უეზის მწვერვალისკენ მიმავალ აღმართს ეულად შეუდგა

### მეთე ეტაპი

ექს-ლე-ბენი — ლ'ალპ დ'უეზი, 209 კმ

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) 6სთ 23წთ 47წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +1წთ 59წმ
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +2წთ 09
4. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) +2წთ 30
5. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) +2წთ 54
6. ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, იბანესტო) +4წთ 01
7. ლორან რუ (საფრანგეთი, დელატური) +4წთ 03
8. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +4წთ 03
9. რობერტო ლაისეკა (ესპანეთი, ესკალტელი) +4წთ 03
10. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, იბანესტო) +4წთ 07

### საერთო ჩათვლა

1. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, ბონჟური) 45სთ 34წთ 09წმ
2. ანდრეი კივილევი (ყაზახეთი, კოფიდისი) +11წთ 54
3. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი) +18წთ 10
4. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) +20წთ 07
5. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +21წთ 42

# ეპო ისევ პელოტონშია

**ალმოჩენადი** იყო თუ ვერალმოჩენადი, ერითროპოიეტინს პელოტონში მიმდევრები კვლავ ჰყავს. პირველი აპრილიდან მოყოლებული ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა ამ დოპინგის ორგანიზმში აღმოჩენის ფრანგული მეთოდი დანერგა, რაც მრბოლთა მხოლოდ შარდის შემოწმებას ითვალისწინებს და მათგან სისხლის ჩაბარებას არ მოითხოვს. იქიდან მოყოლებული, წესით, ეპო მოხმარებიდან საერთოდ უნდა ამოეღოთ, რადგან შარდს აბსოლუტურად ყველას უმოწმებენ, „ტურზე“ ხომ საერთოდ...

თუმცა სამთვენახევარში ექვსი მრბოლი მაინც ჩავარდა და სხვადასხვა სახის სასჯელებიც დაედოთ. ახლა კი „ტურზეც“ ატყდა ერთი ამბავი, არიქა, ეპო გამოჩნდაო. ეს აკრძალული პრეპარატი პროლოგის დროს აღებულ ანალიზებში აღმოუჩინეს „ესკალტელის“ წევრ ჩემა დელ ოლმოს. თუ ესპანელის დანაშაული განმეორებითმა ექსპერტიზამაც დაადასტურა, მაშინ იგი „ახალი ეპოქის“ მეშვიდე ძე ცდომილი გახდება. მანამდე კი დელ ოლმო თავისმა გუნდმა, შესაძლო გართულებების თავიდან აცილების მიზნით, უკვე დაასვენა „ტურისგან“ და შაბათს სტრასბური — კოლმარის ეტაპზე აღარ გამოიყვანა. „ის მაშინვე გავრიცხეთ შემადგენლობიდან, რაც ეთიკური ნორმებისა და „ტურის“ პრესტიჟის გათვალისწინებით გავაკეთეთ“ — კვირა დილით განუცხადა პრესას „ესკალტელის“ მენეჯერმა მიგელ მადარიაგამ. იგი ორი დღით ადრე გაუფრთხილებია დელ ოლმოს ანალიზის „არანეგატიურობის“ შესახებ ვსკ-ს სამედიცინო კომისარ იან ვან გესტელს.

„შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, გუნდის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, მრბოლმა განმეორებითი ექსპერტიზა მოითხოვა“ — წერია „ესკალტელის“ ოფიციალურ კომუნიკეში. დროებით გაძევებული დელ ოლმო საერთოდ მოიკვეთება გუნდიდან, თუ მას ეპო-ს გამოყენება დაუმტკიცდება, რასაც თავისთავად სხვა სანქციებიც მოჰყვება.

ჩემა დელ ოლმო პროფესიონალი 1998 წლიდანაა, როცა „მომავლის ტურის“ ერთი ეტაპი მოიგო. კარიერის მანძილზე იგი მხოლოდ „ესკალტელის“ ღირსებას იცავდა და „ტურშიც“ პირველად მონაწილეობს, რადგან ეს ბასკური გუნდი იქ პირველადაა მიწვეული. „ესკალტელის“ სპორტული დირექტორი ადრე საკმაოდ ძლიერი მრბოლი ხულიან გოროსპეა, წლეულს კი გუნდმა „მიდი ლიბრი“ მოიგო, მაგრამ იქ გაჩემპიონებული იბან მაიო „ტურზე“ ტრავმის გამო ვერ წაიყვანა.

საინტერესოა, რომ შარშან ფუტუროსკოპში დანიშნულ პროლოგზე სამი მრბოლი არ დაუშვეს ჰემატოკრიტების მაღალი დონის გამო, რასაც ეპოს მიღება იწვევს, 1998 წელს კი „ფესტინა“ მთლიანად გააძევეს შეჯიბრიდან მისი სპორტული დირექტორის, ბრუნო რუსელის ალსარებისა და გახმაურებული დოპინგ-სკანდალის გამო. თუმცა დოპინგის მიღებაში თავად „ტურზე“ 1997 წლის შემდეგ აღარავინ უმხელიათ. ოთხი წლის წინ სპორტული თაღლითობა უზბეკ ჯამოლდინ აბდუჯაფაროვს (ლოტო) დაუმტკიცდა. ყოფილ საბჭოელს წარმატების მისაღწევად ამფეტამინები უყლაპავს.

**გაგი გურული**



შეშლილი მძღოლის ერთ-ერთი მსხვერპლი საავადმყოფოში მიჰყავთ

# ფინიშზე ველოს ნაცვლად მანქანით

**შაბათს** „ტურის“ მეშვიდე ეტაპი ორმოციოდე წუთის დამთავრებული იყო, ინციდენტი რომ მოხდა და კინაღამ ტრაგედიაც დატრიალდა.

კოლმარში პელოტონმა ფინიშის ხაზი რომ გადაკვეთა, იქ კიდევ ბევრი ხალხი დარჩა, ზოგს საქმე ჰქონდა, ზოგსაც უბრალოდ დრო გაჰყავდა. ამ დროს ერთმა ავტომობილმა, მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, თითქოს ჩამორჩენილი მრბოლი ყოფილიყო, გეზი ფინიშისკენ აიღო და პირდაპირ მაყურებელთა ჯგუფში შეიჭრა. მძღოლი, რა თქმა უნდა, დააკავეს. ორგანიზატორების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ კომუნიკეში კი ნათქვამია, რომ იგი შეურაცხადი იყო. მას თავის „რენო 25“ მას შემდეგ „მიუგელვებია“ ფინიშზე, რაც მანამდე ქვეითად მყოფი პოლიციელებმა ამ ადგილს ახლოს არ გააკარეს.

ოთხი ადამიანი დაშავდა, რომელთაგან ერთი ქალი საკმაოდ სერიოზულად. მას ხელ-ფეხის მოტეხილობა მიუღია და თავიც დაუზიანებია, რის შემდეგაც საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. დაშავებულთაგან ორი პოლიციელია. ერთმა მარჯვენა მუხლი იტკინა და ნერვულ შოკშიც ჩავარდა, მეორემ კი თავი გაიტეხა. მეოთხე დაზარალებული „ტურის“ მომსახურე პერსონალიდანაა. მასაც მარჯვენა მუხლი დაუზიანა შეშლილმა.

„ჩვენი ექიმები ადგილზე იყვნენ და დაშავებულებს დახმარება მყისვე აღმოუჩინეს. სასწრაფო დახმარების მანქანებიც მალე მოვიდნენ და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს“ — განაცხადა „ტურის“ მთავარმა ექიმმა, დოქტორმა პორტმა.

„ბევრს ვფიქრობთ შეჯიბრის დროს მონაწილეებისა და მაყურებლების უსაფრთხოებაზე და ამის უზრუნველსაყოფად ჟანდარმერიასთან ერთად ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ არავინაა დაზღვეული გიჟისგან, რომელიც მანქანით ხალხში შეჭრას განიზრახავს. ჩვენ ყოველნაირად დავეხმარებით დაზარალებულებს და მათ ოჯახებს. მადლობა ღმერთს, არავინ დაღუპულა“ — უთხრა ჟურნალისტებს ინციდენტის შემდეგ „ტურის“ გენერალურმა დირექტორმა ჟან-მარი ლებლანმა. მისი სიტყვები უსაფუძვლო რომ არ ყოფილიყო, ლებლანმა სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად იმ საღამოსვე მოინახულა ტრავმირებულნი.

### ცოტაოდენი ისტორია და გეოგრაფია



*თუ გსურთ, ზაფხული მზის ქვეშ გაატაროთ, ლ'ალპ დ'უეზზე უკეთეს ადგილს ძნელად თუ იპოვით. პატარა კურორტი გრენობლის მახლობლად მდებარეობს გრანდ რუსის მასივის სამხრეთ ფერდობზე. სუფთა ჰაერის, მშვენიერი ბუნებისა და მთების მოყვარულთათვის ეს ადგილი ნამდვილი სამოთხეა. ზღვის დონიდან 3 300 მეტრ სიმაღლეზე განლაგებული პატარა, მყუდრო სასტუმროებიდან უმშვენიერესი ხედი იშლება — თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ ალპების ყველაზე ცნობილი ადგილებით, ბელდონის ქედითა და მონბლანით.*

### ერთი დღის ისტორია

**1953 წლის 17 ივლისს** ალბი — ბეზიეს ეტაპზე ორი გუნდის მწვავე დაპირისპირება იხილა მაყურებელმა. საფრანგეთის ნაკრების წევრებმა — ბობემ, ტეისეირმა, ჟემინიანიმ, ლორედიმ და როლანმა გადაწყვიტეს, ბრეტონელთა გუნდისთვის და მათ ლიდერ ჟან რობიკისთვის ომი გამოეცხადებინათ. უკანასკნელმა რამდენიმე დღით ადრე ლუშონში ყვითელი მაისურა მოიპოვა, მაგრამ რადგან ძალიან დიდი წნეხის ქვეშ მოექცა, მეორე დღესვე იგი თანაგუნდელ ფრანსუა მაეს დაუთმო, რომელმაც წარმატებული შეტევა განახორციელა. დაიწყო თუ არა ეტაპი, ბობე, ჟემინიანი, ლორედი და ლორანი წამსვე შეტევაზე გადავიდნენ და მალე დაწინაურდნენ კიდეც. რობიკმა მათი გამოდევნება სცადა, მაგარმ პატარა მთა ფოდერონზე დაეცა და დაშავდა. ლუიზონ ბობე, ფრანგთა ლიდერი, ფიქრობდა, რომ ბეზიეში, ფინიშზე თანაგუნდელები გამარჯვებას და ზედმეტ პრემიალურ წამებს მას დაუთმობდნენ. თუმცა დაღმართებზე იგი საკმაოდ უხეიროდ რბოლობდა და თავისიანებს ყოველი მოსახვევის მერე ჩამორჩებოდა. ამით ლორედიმ ისარგებლა და ეტაპიც მოიგო. საღამოს საფრანგეთის ნაკრებში დიდი აურზაური იყო. გუნდის სპორტულმა დირექტორმა მარსელ ბიდომ შეგირდები ძლივს დააწყნარა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ყველა ბობეს სამსახურში ჩადგებოდა და ასეც მოხდა. ბობემ კი თავისი პირველი „ტურ დე ფრანსი“ მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფუკუოკაში იწყებენ



ცოტაც და იაპონურ ფუკუოკაში მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი გახურდება სპორტის საწყლოსნო სახეობებში. გახურდება-მეთქი იმიტომ ვამბობთ, რომ აუზს ჯერჯერობით მხოლოდ სინქრონულად მოცურავენი ჩაუღრმავდნენ საშეჯიბროდ და დახეთ, როგორ უცვალა იერი მოხდენილ იაპონელ გოგონებს წყალმა? წყალში ცეკვა ხომ მსხვერპლს მოითხოვს... დანარჩენები კი ჯერჯერობით ვარჯიშით დაკავებულან: ჰოლანდიელი ოლიმპიური ჩემპიონები პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი (მარცხნივ) და ინგე დე ბრუინი „მარინ მესის" აუზის წყალს ეჩვევიან, არანაკლები ოლიმპიური ჩემპიონები, ავსტრალიელი დელფინები გრანტ ჰეკეტი (მარცხნივ) და იან ტორპი კი კუნთების გამაღვიძებელ ვარჯიშს შედგომიან.





REUTERS ფუკუოკიდან

# ვი-როდი

ამი წელიწადია „ჰარლი დევიდსონს" ახალი მოტოციკლეტი არ გამოუშვია. და ჰა, ახალი მოდელი, „ვი-როდი", რომლის წარდგნაც ლოს ანჯელესში შედგა. კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი ვილი ჯი დევიდსონი „ვი-როდზე" ამხედრებულა და ენერგიულად ჰყვება ახალი მოდელის თაობაზე...



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# ლომთა მარცხის დროს

აჰა, გასრულდა ბრიტანელი ლომების სარაგბო ომი ავსტრალიაში. მსოფლიოს ჩემპიონმა ოზებმა მაინც თავისი გაიტანეს და სამტესტა შებმაში ორჯერ მოუგეს ბრიტებს. მესამე ტესტი სიდნეიში იყო და ავსტრალიამ 29:23 იმარჯვა. რაგბი ფიცხელი იყო და ვოლაბი ჯასტინ ჰარისონი და ლომთა კაპიტანი მარტინ ჯონსონი ძლივს გამოძიძგნეს ერთმანეთს. მსაჯ პედი ობრაიენს (იხილეთ სასტვენიანი ხელი) გვარიანი ოფლი გადასვდა.



REUTERS სიდნეიდან

# ძაღლების თანხლებით



REUTERS სიდნეიდან

ავსტრალიელ ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები მოახლოებულ უქმეებზე შვეიცარიის ნაკრებს უნდა ეთამაშოს ფედერაციის თასის მეორე წრეში. ალისა მოლიკი, რეიჩელ მაკქვილანი, კაპიტანი ლესლი ბოური, ევი დომინიკოვიჩი და ნიკოლ პრატი სიდნეის გოლფ კლუბში ემზადებიან ამ შეჯიბრისთვის და გუშინ პრესკონფერენციაც გამართეს ორი კეთილი სენბერნარული ნაგაზის თანხლებით. ძაღლებს არ დაუყეფიათ და გოგოებმაც იოლად გააგებინეს სათქმელი ჟურნალისტებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჩიანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge